



ახალი ბანათლები

№35 (469) გამოდის 1998 წლიდან

ყოველი დღე -

„საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი“

**„იმათაც, ვინც მე გახდირა და გაუსაქლისი ტკივილები მომაყენა, ღმერთმა ყველაფერი ააბათიოს“ -
გაბო დაღინი**

13 ნოემბერს, „კავკასიის სახლში“, საზოგადოება „მემორიალის“ ინიციატივით, გაიხსნა ფოტოგამოფენა სახელწოდებით - „საბჭოური პერიოდის პოლიტიკური ქალები“. გამოფენა მეორე ნაწილია საზოგადოება „მემორიალის“ საგამოფენო პროექტისა - „საბჭოური პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში“, პირველი ნაწილი, სახელწოდებით „20-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები“, 2007 წელს იხილა საზოგადოებამ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საზოგადოება „მემორიალის“ მიერ მოპოვებულ იქნა 383 სია 45 ათასამდე პიროვნებაზე სასჯელის სავარაუდო ზომის აღნიშვნით (I კატეგორია - დახვეწა, II კატეგორია - 8 წლით გადასახლება, III კატეგორია - პატიმრობის სხვა ვადები), რომლებიც 1937-38 წლებში წარედგინა სკკპ პოლიტბიუროს დასამტკიცებლად. საქართველოდან გაგზავნილია 13 სია 3632 პიროვნებაზე, მათ შორის 81 ქალია, რომელთაგანაც პირველი კატეგორია-დახვეწა განსაზღვრული აქვს 63 ქალს.

არსებობდა ბევრი სხვა სიაც, თუმცა სამართალს ზოგჯერ სიაც არ სჭირდებოდა, ამისთვის იყვნენ ავადსახსენებელი „სამეურლები“, „ორეულები“, „საგანგებო სათათბიროები“ და სხვ.

გამოფენაზე პირველად გამოიფინა: გადასახლებაში მყოფი ქალების ნამუშევრები, ახლობლებისთვის გამოგზავნილი საჩუქრები-ნაქსოვი ნინდები, ქუდები, ნაქარგი პერანგები, ნახატები; წერილები, დოკუმენტები, ოქმები ქონების კონფისკაციის შესახებ, სამადლობელი ბარათები კარგი მუშაობისთვის, პატიმართა განთავისუფლების ცნობები... ქალთა ბანაკების რუკა;

დასახვეწთა სიების სანქცირება; ბარბარე კილურაძის მიერ შეიღობის - კისიასადმი (ნინო) ბანაკში დაქარგული ზედა პერანგი; ელენე ომაყმაშვილის ნაქარგები, გამოგზავნილი ბანაკიდან შეიღობისთვის, თამარ ჯავახიშვილი-ანტონოვას მიერ კოლონიაში ყოფნისას დაქარგული წინსაფარი ქალიშვილ ინგასათვის, ბარბარე ჭიჭინაძის ქალიშვილის-ლამარას წერილი დედისადმი; ეკატერინე ელიავას „წარჩინებულის წოდება“, რომელიც დამატებითი წერილის გაგზავნის უფლებას აძლევდა; ლადო ასათიანის დედისადმი მიძღვნილი ლექსის ხელნაწერი, თამარ ჯავახიშვილი-ანტონოვასა და ეკატერინე ელიავას განთავისუფლების ცნობები; ფოტოსურათები - ეკატერინე ელიავა ქალიშვილთან-ლია ელიავასთან ერთად (სურათი გადაღებულია გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ). ერთი შეხედვით წერილმანი ნივთები უძვირფასესია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც დედისგან სამახსოვროდ მხოლოდ ეს შემორჩა, ისინი დღემდე სათუთად ინახავენ, ეფერებიან და ეთავყვანებიან დედის სახსოვარს. გამოფენაზე ნახავდით სხვადასხვა დროს გამოცემულ წიგნებს: რევაზ კვერენჩილაძის „წამების გზა“, „საბუთები ღალადებზე“, როსტომ ჩხეიძის „დაწყვეტილი თაობა“, ავთანდილ ქურხულის „და რომ გვახსოვდეს“ ალექსანდრე დაუშვილის „თბილისი 1937“, ვახტანგ ხარჩილაძის „სისხლიანი ქრონიკები“.

გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. აქ იყვნენ რეპრესირებული ოჯახების შთამომავლები. გამოფენაზე წარმოდგენილ პოლიტიკატიმარ ქალთაგან, ბევრის სახელი სამართლიანად დამკვიდრდა ქართველი ერის მეხსიერებაში. ეს ადამიანები, მრავალი წლის შემ-

დეგაც ერთგულების, სიყვარულისა და სინაზის, სიმტკიცისა და მიმტვევლობის სიმბოლოდ დარჩებიან იმ ადამიანთა ხსოვნაში, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც წაუკითხავს გადასახლებიდან გამოგზავნილი ბარათები.

თამარ ბაგრატიონის წერილი გადმოგდებული ვაგონიდან: „ჩემო მამა მე მივდივარ, დეიდა ლიზაც ჩემთან არის. თითქმის სუყველას ცოლები. თქვენი ჯავრი მკლავს. ნიკას ამბავი გავიგე, ვნახე ციხეში მისჯილებთან, მაგრამ რამდენი აქვს არ ვიცი. მამა, მარგო ჩინჩალაძე ნახე, როგორც გიჯობდეს ისე მოიქეცი. ბავშვები მშვიდები არ დახოცოთ, გაყიდე ყველაფერი. მარინამ მუსიკა მიატოვოს გაუძნელდებ... ილაშაზმა მანდვე ისწავლოს...“ ამ წერილის შესახებ **ილაშაზ მინიშვილი** (თამარ ბაგრატიონისა და ნიკოლო მინიშვილის შვილი) ასეთი რამ მიაბო: „გადასახლებაში პატიმარი ქალები სატივით ვაგონებით მიჰყავდათ, გამოყოფნა ხმამ, ეტაპი მიდისო, ჩვენ ეს არ გავიგია. სადგურში სხვა პატიმრების ახლობლები მისულან, დედას ვაგონის პატარა სარკმელი იდაყვით ჩაუმტვრევია და ასანთის კოლოფში ჩადებული წერილი გადმოუგდია. ეს წერილი სრულიად უცნობმა ადამიანმა მოგვიტანა. ამის შესახებ გადასახლებიდან დაბრუნებულმა დედამ მიაბო“.

ლიზიკო ქავთარაძე: „ვისაც ეტაპი განუცდია, მან იცის, რაც არის ოცნება ციხეზე. იქ ჩვენ ვართ ჩვენივე სამყაროში ჩაკეტილები, იქ კუნჭულს მიგიჩენს საკანის მამასახლისი. გახრეკილ ნარებზე დაოსებულ სხეულს მიაგდებ, ძონძებს წიხურავ, საკუთარ თავთანდარჩები“.



ნუცა ლოლობერიძე: „ჯერ მატარებლით ვიარეთ, ვიარეთ... მერე ჩრდილო-ყინულოვანი ოკიანე გავიარეთ, მერე თეთრი ზღვა, მერე პეჩორით ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ... მერე ერთ ღამეს გემი პეჩორაში ჩაიყინა და ჩვენ აძვა-ვომში ნაპირზე გამოგვიყვანეს. იქაც არ დაგვტოვეს და ახლა ფეხით ტყე-ტყე გამოგვისტუმრეს... ოთხმოცი კილომეტრი ფეხით გასავლელი გვაქვს. დღეს მხოლოდ ორმოცი უნდა გავიაროთ, დანარჩენი კი - ხვალ“.

ვერა გვანცელაძე-ჯიქია: „ბანაკის ტერიტორია დაფარული იყო ქვიშით, ზონის გადაღმა კი ხშირი ნაძვნარი ჩანდა. გაზაფხულზე ზონის საზღვარზე მავთულხლართთან ბალახი ამოვიდა. ბუღუ მდივნის ქალიშვილმა შეჭარა მწვანე ბალახს, ზონიდან გავიდა და სიმწვანეში გაიქცა. ბალახში გარბოდა, გუშაგის შეძახილი და გაფრთხილება არ ესმოდა. როცა ბალახის მოსაპუტად დაიხარა, ესროლეს... მოკლეს...“

გვერდი 8

„დიალოგი“-ის ხელმოწერითა საყურადღებოდ!

**2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი“-ის ხელმოწერას და
გაპრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლება“ რედაქცია**

2009-2010 სასწავლო წელს „დიალოგი +“ -ის 7 ნომრის (დეკემბერ-ივნისი) გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალურ ანგარიშზე.

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია,
გარკვევით მიეთითოს
ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.**

აუცილებელია, ხელმოწერები განხორციელდეს პირველ დეკემბრამდე, რათა ყველა ხელმოწერმა მიიღოს „დიალოგი“-ის 7 ნომერი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი**, გამოწერის თანხა შეადგენს **7 ლარს**.

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს და ორგანიზაციებს.**


**გაზეთ „ახალი განათლება“
რედაქციის მისამართია:
თბილისი, ტაბაღაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890
958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com,
ganatleba@mail.ru**

**გაზეთის ხელმოწერის თანხა
შეგიძლიათ გადაიტვირთოთ შემდეგ
საბანკო ანგარიშზე:**

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

**ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საქართველოს ნაბისმიერი ბანკიდან.**

პატივისცემით, „დიალოგი +“ -ის რედაქცია



დავით გურამიშვილი - „დავითიანი“

ავტორი - ნანა ლონლაძე
რედაქტორი - პროფესორი სვითისო ზარიძე

რეცენზენტები:
მადია გიორგიშვილი
ლიტერატურის ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი

წიგნის გიორგობაძე
ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ფართო არჩევანი გვაქვს სახელმძღვანელოებისა, განსაკუთრებით გვინდა ყურადღება იმ დამხმარე სახელმძღვანელოზე გავამახვილოთ, რომელიც მიმდინარე წელს გამოიცა. წიგნი დაიბეჭდა შ.პ.ს. „გაზეთ საქართველოს მაცნეს“ სტამბაში. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის ავტორი დამსახურებული და პრაქტიკოსი პედაგოგია, რომელიც ქ. კიევეში ხანგრძლივი მისწავლის დროს გაეცნო სამუშაო ექსპონატებს ქ. მირგოროდში და მოინახულა დავით გურამიშვილის საფლავი. ასევე, ქალბატონი ნანა ლონლაძე 1995-99წწ. ხელმძღვანელობდა დავით გურამიშვილის ქართულ საკვირაო სკოლას, რომელიც ქ. კიევეში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 79-ე სკოლაში საქართველოს საელჩომ დაარსა უკრაინის განათლების სამინისტროს თანხმობით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმძღვანელო სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე მოთხოვნებთან. ამასთანავე „დავითიანი“-ს კომენტარული ტექსტი ეფუძნება ქართული ლიტერატურის მოქმედ სახელმძღვანელოებს, მაგრამ ნამდვილად არ არის მათი ანალოგი.

წიგნის განსაკუთრებული ღირსებაა, თითოეული სტროფის არა მხოლოდ ლექსიკური განმარტებები, არამედ ის საინტერესო ნივთსებები, რასაც ავტორი ბიბლიურ საკითხებთან პარალელურად ახდენს. ამასთანავე, დანერგებით არის ახსნილი თითოეული სტროქონის გადატანითი მნიშვნელობა - სახისმეტყველება.

სახელმძღვანელოში თავმოყრილია აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერების გამოკვლევები „დავითიანის“ ირგვლივ, რაც სრულყოფილებას წიგნს სძენს. საკმაოდ დიდი შრომა აქვს ავტორს გაწეული წიგნის პრაქტიკული ღირებულებისათვის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის სხვადასხვა დონის ამომწურავი კითხვები და დავალებები, რომლებიც გათვლილია როგორც ფაქტობრივი მასალების ცოდნაზე, ასევე მოსწავლის აზროვნებაზე (აქედან გამომდინარე, იგი შესანიშნავი გზამკვლევაა მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის).

წიგნი გამოირჩევა მაღალი პოლიგრაფიული დონით და მირგოროდში, პოეტის სახლ-მუზეუმში მოპოვებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ფოტომასალის გამოქვეყნებით. ვფიქრობთ, წიგნი, თავისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებებით, ერთგვარ მეგზურობას გაუწევს მკითხველს დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში და ცხადად შეაგრძნობინებს როგორც „დავითიანის“ სიდიადეს ასევე დაგვეხმარება იმ სიძნელეების დაძლევაში, რომელიც თან ახლავს ამ ღვთისმეტყველებით გაჯერებული ნაწარმოების სწავლებას.

სიახლე

პეპერდო ინგლისური ენის შესწავლის მსურველთათვის

13 ნოემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, BBC-სა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ შექმნილი ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია გაიმართა. ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს, ახალი ვებგვერდის საშუალებით, შეუძლიათ დამოუკიდებლად, მასწავლებლის გარეშე: გაიუმჯობესონ ინგლისურ ენაზე კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის და წერის უნარი; უკეთ დაეუფლონ ინგლისური ენის გრამატიკას და ლექსიკას; გაიუმჯობესონ წარმოთქმა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ: გამოიწვიონ ელექტრონული გაზეთი; გაეცნონ თანამედროვე მიღწევებს მეცნიერებასა და ტექნიკაში; ჩაერთონ სხვადასხვა სახის ვირტუალურ დისკუსიებში და ბლოგებში; დაამყარონ ურთიერთობა თანატოლებთან, მსოფლიოს მასშტაბით.

რუსუდან ტყემალაძე, ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის განვითარების მენეჯერი: ვებგვერდი მოშადად BBC-ისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ. საიტის მიზანია, ადამიანებმა დამოუკიდებლად, სახლიდან გაუსვლელად, გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა. ვებგვერდზე განთავსებულია: თემატური მრავალფეროვანი ტექსტები, სხვადასხვა სახის აქტივობები, ტესტები, შემეცნებითი სავარჯიშოები, მხატვრული ნაწარმოებები, სიმღერები... მასალა ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე. საიტი, მართლაც, ძალიან მრავალფეროვანია, აქ უამრავი თემატიკაა, რომელიც ნებისმიერი ასაკის ადამიანის სურვილს დააკმაყოფილებს. ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, დღეს, საკმაოდ ბევრი ინტერნეტგვერდია, მაგრამ ეს საიტი განსაკუთრებულია თავისი ხარისხით. მის მუდმივად განახლებადი მონაწილეობენ უმაღლესი რანგის სპეციალისტები, ნებისმიერი ტექსტი ძალიან სერიოზულ რედაქტირებას გადის, რაც მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ საიტი სარგებლობს შეუძლია ნებისმიერ მსურველს. გირჩევთ, ისარგებლოთ ახალი ვებგვერდით: www.britishcouncil.org



გიორგი ზედგინიძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსი: დღევანდელი ღონისძიება ბრიტანეთის საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტია, რომელიც ინგლისური ენის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება. ეს არ არის პირველი ღონისძიება, რომელსაც ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად ვახორციელებთ. ახალი ვებგვერდის პრეზენტაციაზე ის მოსწავლეები მოიწვიეთ, რომლებიც დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდნენ ინგლისური ენის შემსწავლელ ორკვირიან კურსებზე. წელს ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული 1000 მოსწავლე იმყოფებოდა საზაფხულო სკოლებში (წყნეთში, ბაკურიანსა და წყალტუბოში). დიდ ბრიტანეთში გასამგზავრებლად 1000 ბავშვიდან ინგლისური ენის მცოდნე 54 მოსწავლე შეირჩა (36 - საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან: ტყიბული, ქუთაისი, ხაშური, ზუგდიდი, კასპი, რუსთავი, ახალქალაქი...). მათ სპეციალური კურსების გავლის შედეგად, ინგლისური ენის ცოდნა კიდევ უფრო გაიღრმავეს. ვებგვერდის პრეზენტაციაზე ეს მოსწავლეები იმიტომ მოიწვიეთ, რომ მათ ახალი საიტის შესახებ ინფორმაცია თავიანთ სკოლებში გაავრცელონ, მის-

ცენ რჩევა თანატოლებს და გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, შეუძლიათ მოახყონ პრეზენტაციები და მიანოდონ ინფორმაცია ყველას, ვინც დაინტერესებულია ინგლისური ენის შესწავლით. **მარიამ ხვედელიძე**, ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: გასულ სასწავლო წელს ემონაწილეობდი ბიოლოგიის ოლიმპიადებში, სადაც გავიმარჯვე და მოვხვედი წყნეთის საზაფხულო სკოლაში. ამის შემდეგ, მოსწავლეთა შერჩევის შედეგად, დიდ ბრიტანეთში გავემგზავრე. დღევანდელი ვებგვერდის პრეზენტაცია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მსგავსი მეტოდეების გამოყენებით მოსწავლეები მარტივად ეუფლებიან უცხო ენის შესწავლას. აუცილებლად ვისარგებლებ ახალი ვებგვერდით, რათა კიდევ უფრო მეტად გავიმყარო ინგლისური ენის ცოდნა. **ნინო წერეთელი**, კასპის მე-4 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე: გავიმარჯვე ისტორიის ოლიმპიადებში, რის გამოც საშუალება მომეცა, წავსულიყავი ბაკურიანის საზაფხულო სკოლაში, ამის შემდეგ გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში, სადაც გავიარე გაძლიერებული ინგლისური ენის შემსწავლელი ორკვირიანი კურსი. ახალი ვებგვერდი ძალიან მომეწონა, აუცილებლად მო-



ვანყო პრეზენტაციას ჩემს სკოლაში და ყველა ჩემს მეგობარს მივანოდებ ინფორმაციას საიტის მნიშვნელობის შესახებ. **გიორგი კაციტაძე**, თბილისის 42-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე: ემონაწილეობდი სასკოლო ოლიმპიადებში. ისტორიის კონკურსში, საქართველოს მასშტაბით, მეხუთე ადგილზე გავედი. საზაფხულო სკოლით იმის გამო დაინტერესდი, რომ იქ ინგლისური ენის შესწავლა ხდებოდა. მოვხვედი წყალტუბოს საზაფხულო სკოლის პირველ ნაკადში, ამის შემდეგ, სასწავლებლად დიდ ბრიტანეთში გამიშვეს, სადაც ვსწავლობდი ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე, ძალიან კარგი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. დიდი მადლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასეთი საინტერესო პროექტისათვის. დიდი სურვილი მაქვს, ეს პროექტი გავრძელებ, რადგან საქართველოში ძალიან ბევრი ბავშვია, რომლებსაც სურთ, საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები გამოავლინონ, კიდევ უფრო გაიმყარონ უცხო ენის ცოდნა. ხშირად ვსარგებლობდი ინგლისური ენის შემსწავლელი ვებგვერდებით. როგორც დღევანდელ პრეზენტაციაზე შევიტყვე, ეს საიტი გაცილებით დახვეწილი ინტერნეტგვერ-

დია, რომელშიც ინფორმაციის ფართო ასორტიმენტი, მასალა ყველა ასაკისთვისაა განკუთვნილი. **შალვა იოსავა**, X კლასის მოსწავლე: სასკოლო ოლიმპიადებში არ გამომარჯვია, საზაფხულო სკოლაში კონკურსის „ოკუპაციის კვირეული“ შედეგად მოვხვედი. სკოლაში მოვანწყვეთ სასკოლო კონკურსის - „ოკუპაციის კვირეული“ პრეზენტაცია, ჩანანერი, კონკურსის პირობის თანახმად, თბილისში გამოვგზავნეთ. ჩვენმა პრეზენტაციამ დიდი მონაწილეობა დაიმსახურა და ყველა მონაწილე საზაფხულო სკოლაში გავიშვეს. შემდეგ, მოსწავლეთა შერჩევის საფუძველზე, გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. რაც შეეხება დღევანდელი ვებგვერდის პრეზენტაციას, მართლაც, ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საიტი ხელს შეუწყობს ინგლისური ენის შესწავლას. პირადად მე ჩემს უმცროს ძმას ვურჩევ, ამ ვებგვერდით ისარგებლოს, რადგან ბავშვებისთვის ძალიან საინტერესოა, გასართობი მასალებია. ვფიქრობ, ეს საიტი ყველაზე სრულყოფილია ინგლისური ენის შემსწავლელ ვებგვერდებს შორის. ახალი საიტის შესახებ, ჩემს სკოლაში პრეზენტაციის გამართვას ვაპირებ. **მაკა ყიფიანი**

გამოხმაურება

რა და როდის ვასწავლოთ ჩვენს ახალბავრებს

წერილში „რა ვასწავლოთ ჩვენს ახალბავრებს თაობას და რატომ?“ („ახალი განათლება“, 12-18 ნომერი) პედაგოგი მზია ბოლქვაძე მსაყვედურობს, რომ ჩემი მიზნით მისაღები გამოცდების პროგრამაში ვერ მოხვდა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომლებიც შეტანილი არ მაქვს ქართული ენისა და ლიტერატურის მე-10, მე-11 და მე-12 კლასების სახელმძღვანელოებში. წერილის ავტორი ასახელებს ილია ჭავჭავაძის „აჩრდილს“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავს“, და „ბაში-აჩუკს“, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ და გულისხმობს „კიდევ ბევრ სხვა ნაწარმოებს“; ამ ნაწარმოებებისთვის გვერდის ავლას იმით ხსნის, რომ მე ისინი არ მომწონს.

მაგრამ საქმე ის არ არის, რომ ზემოთ ნახსენები ნაწარმოებები არ მომწონს, – ეს ასე არაა – საქმე ის არის, როდის ვასწავლოთ ეს ნაწარმოებები.

ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ნაწარმოებთა შესატყვისობა მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან და ინტერესებთან, სულიერ მოთხოვნილებებთან. ეს პრინციპი იგნორირებული იყო საბჭოთა სკოლაში და ახლა მის ხორც-შესხმას შეძლებისდაგვარად ვცდილობთ.

მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებთან და ინტერესებთან ნაწარმოების სწორი კორელაცია მისი სწავლების ნაყოფიერების წინაპირობაა, იმის წინაპირობა, რომ

ნაწარმოებს მოსწავლე სერიოზულად მოეციდოს, ემოციურად გაითავისოს იგი და ამის საფუძველზე გაიაზროს.

ვფიქრობ, „ბაში-აჩუკის“ სწავლება ყველაზე ეფექტური უნდა იყოს მე-8 კლასში – ამ პერიოდში მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით ახლოდღეობა შეიძლება გახდეს ეს რომანტიკული, სათავგადასავლო თუ ზღაპრისებური ელემენტებით მდიდარი, ხალასი, წრფელი პატრიოტული გრძობით აღსავსე მოთხრობა. ასევე მგონია, რომ „თორნიკე ერისთავის“ რომანტიკული სამყარო – წარსულის კეთილშობილი გმირებით, რაინდობით, ბატალური სურათებით განსაკუთრებით მიმზიდველი მე-8 ან მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის იქნება.

საინტერესო არის, რომ „ბაში-აჩუკი“ და „თორნიკე ერისთავი“ ისწავლება კიდევ საბავრო განათლების საფეხურზე, მე-8-მე-9 კლასებში (სხვადასხვა სახელმძღვანელოს მიხედვით) და გაუგებარია, რატომ ვითხოვთ მათ სწავლებას მე-10 ან მე-11 კლასის სახელმძღვანელოს ავტორისგან?

როცა მე-10 კლასის სახელმძღვანელოს ვამზადებდი, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ მე-8 კლასში ისწავლებოდა და მიმანია, რომ ეს სწორი იყო. ბუნებრივია, მოთხრობა აღარ მოხვდა მე-10 კლასის სახელმძღვანელოში. ამ სახელმძღვანელოს განახლებულ ვარიანტში კი მოსწავლეებს მოეთხოვებათ „ხევისბერი გოჩა“ დამოუკიდებლად (გასაგებია, პედაგოგის დახმარებით) დაამუშაონ და აკაკის „გამზრდელს“ შეუპირისპირონ. ყაზბეგის

მოთხრობის შესწავლა ამგვარი ფორმითაც შესაძლებელია, თუმცა უმჯობესია ამას წინ უსწრებდეს მოთხრობის სწავლება მე-8 ან მე-9 კლასში.

„აჩრდილის“ ან, ვთქვათ, „სადღეგრძელოს“ პოეტურად ყველაზე ღირებული მონაკვეთების სწავლება სავსებით ბუნებრივი იქნება საბავრო განათლების საფეხურზე. „აჩრდილის“ ერთი, ჩემი აზრით, განსაკუთრებულად რთული, მნიშვნელოვანი და აქტუალური მონაკვეთი მე-10 კლასის სახელმძღვანელოშია ნარმოდეგნილი.

ილიას „კაცია-ადამიანის?!“ სწავლება კი ზედა საფეხურზე მიმანია აუცილებლად, რადგან ეს არის ანალიტიკურ-პრობლემური, საკმაოდ ძნელად გასააზრებელი ნაწარმოები, რომელიც თავისი სამშობლოს უბედობის მიზეზებზე დააფიქრებს ახალგაზრდა მკითხველს. მისი სწავლება საბავრო საფეხურზე ნაადრევია და ამიტომ მოთხრობა მე-10 კლასის განახლებულ სახელმძღვანელოშია შეტანილი.

საერთოდ, ჩემი ნარმოდეგნით, სწავლების ზედა საფეხურზე მოსწავლეებმა საკუთარი ქვეყნის რაობა და ბედი სწორედ ანალიტიკურ-პრობლემურად უნდა შეიმეცნონ, ემოციური პატრიოტიზმი ფიზიკურად სერიოზულ აზროვნებაზე დაფუძნებული პატრიოტიზმით შეიცვალს.

„ბევრ სხვა ნაწარმოებში“, რომლებიც, სტატიის ავტორის თქმით, ზედა კლასებში არ არის ნარმოდეგნილი, იგი, ალბათ, ჩვენს კლასიკოსთა ლირიკას გულისხმობს. მაგრამ მათი ლირიკული ნაწარმოებები

ისწავლება საბავრო საფეხურზე, თუმცა სასურველია კიდევ უფრო მეტი ისწავლებოდეს. სხვადასხვა სახელმძღვანელოში ნარმოდეგნილია, მაგალითად, ბარათაშვილის „სული ობოლი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“, ილიას „პოეტი“, „ჩემო კალამო“, აკაკის „პოეტი“, ვაჟას „რამ შექმნა ადამიანად“, გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“ და ა.შ. მათი ზედა საფეხურზე კვლავ სწავლების მოთხოვნა უსაფუძვლო და ულოგიკოა.

ახლა საკუთრივ საგამოცდო პროგრამის შესახებ. ბუნებრივია, იგი ვერ ამოწურავს სასკოლო პროგრამას. მაგალითად, საგამოცდო პროგრამაში შესულია გალაკტიონ ტაბიძის ექვსი ლექსი – „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ლურჯა ცხენები“, „მთანმინდის მთვარე“, „შერიგება“, „თოვლი“, „ბავშვები კაფეში“. შეიძლება ეს ვინმეს ეცოტავოს, მით უმეტეს, რომ ამ ლექსების გარდა მე-11 კლასის სახელმძღვანელოში გალაკტიონის კიდევ ოთხი ლექსია ნარმოდეგნილი, რომელთაგან ორი მაინც შედეგია – „მინდისის ჭადრებს“ და „ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში“. მაგრამ ამ ლექსების არარსებობა საგამოცდო პროგრამაში საგანგაშო მოვლენად, გალაკტიონის „დაჩაგვრის“ ცდად არ უნდა აღვიქვათ.

ანდა, ვთქვათ, ვისურვებდი, რომ პროგრამაში დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალიდან“ ერთად ნარმოდეგნილი ყოფილიყო მისი სიღრმით გამორჩეული მოთხრობა „შერისხვეც“, მაგრამ გასაგებია, რომ პროგრამის შემდგენლები

მის მეტისმეტად გადატვირთვას ერიდებიან. მთავარია, რომ მასში ნარმოდეგნილი ნაწარმოებები მთელი სისავსით ავლენდეს მათი ავტორების ნიჭის მასშტაბს და ბუნებას. დავით კლდიაშვილის და გალაკტიონის საგამოცდო ნაწარმოებები, ვფიქრობ, სწორედ ასეთია.

ამ ვითარებისგან განსხვავებით პრობლემურია ის, რომ კვლავ საგამოცდო პროგრამის მიღმა აღმოჩნდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯავახოს ხიზნები“, რომელიც მე-12 კლასში ისწავლება. მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ლიტერატურული კლასიკის დასაცავად დაწერილ სტატიაში ეს საკითხი წამოიჭრებოდა. საქმე ეხება მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს. ძნელია მოიძებნოს სხვა ნაწარმოები, რომელიც „ჯავახოს ხიზნებით“ მკვეთრად დანახებს მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ ბედს საბჭოთა რეჟიმის პირობებში, დაანახებს აგრესიული, კულტურის და მორალის წამლევავი ველურობის მოძალდების მუდამ აქტუალურ საფრთხეს.

აგრეთვე მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ტიპის სტატიაში დასმულიყო საკითხი, თუ რამდენად გამართლებულია საგამოცდო პროგრამაში „ვეფხისტყაოსნის“ შეკვეცა...

განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში ამგვარი საკამათო საკითხების გაჩენა ბუნებრივია, მათ გარშემო კორექტული, კვალიფიციური დისკუსია კი – სასარგებლო.

თამაზ მსახიძე

ინფორმაცია

სტუმრად ტაბანყურში



ბორჯომის №6 საჯარო სკოლის დირექციამ და მოსწავლეთა თვითმმართველობამ ერთობლივად დაგეგმა I ტრიმესტრში ჩასატარებელი ღონისძიებები. 31 ოქტომბერს, 17 მოსწავლე დირექტორთან – ქეთევან ხაჩიძესთან, სამეურვეო საბჭოს წევრებთან – ლელა გაგნიძესთან, ფიზკულტურის მასწავლებელ მაკა გელაშვილთან და მშობელ ლელა ლაფაჩთან ერთად, ბორჯომის რაიონის ულამაზესი სოფლის, ტაბანყურის არაქართულენოვან სკოლაში გაემგზავრეთ. სტუმრობის მიზანი ურთიერთგამოცდილების გაზიარება, თანატოლებთან და მათი ოჯახის წევრებთან დამეგობრება, ერთობლივი სამომავლო გეგმების შემუშავება იყო.

ბევრ ჩვენგანს არც ცხრანყაროს უღელტეხილი და არც ტაბანყურის საოცარი ტბა არ გვენახა. რძისფერი ნისლი გახვეული ნახევრად დათოვლილი მთები დაღმართმა შეცვალა და ლურჯად მოლივლივე ტბის გარშემო გაშენებული სოფელიც გამოჩნდა. აი, სკოლა! მასპინძლებს პირველ სართულზე

მოეყარათ თავი. ხოლო სკოლის დირექტორი სეროჟ ყანდილიანი, სასწავლო ნაწილი ლეილა აკოფოვი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინა სანდაძე კი ეზოში შემოგვეგებნენ.

– არტურ! შენ ლაშას უმასპინძლებ. ამალია! შენ მარიამს ნაიყვან. – ისმოდა სასწავლო ნაწილის ხმა. ხელიხელ გადახვეული მეგობრები ბორჯომელ მოსწავლეთა მიერ შექმნილ მეგობრობის ტილოზე აკეთებდნენ ავტოგრაფებს. გაისმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საზეიმო შეხვედრაც დაიწყო. ქართული სიმღერებით, ლექსებითა და ცეკვებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბორჯომელი და ეროვნებით სომეხი ტაბანყურელი მოსწავლეები, არც უფროსები უღებდნენ ტოლს.

თვითმმართველობის ლიდერმა, მეათეკლასელმა ანა ხაჩიძემ და სამეურვეო საბჭოს წევრმა, ლელა გაგნიძემ სკოლის ტრადიციებზე, გამოცდილებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. შემდეგ სკოლას საჩუქრად



გადასცეს ანა კალანდაძის ლექსებისა და ნოდარ დუმბაძის მოთხრობების შესანიშნავი კრებულები. სკოლის დირექტორები კი შეთანხმდნენ, რომ გაზაფხულზე ტაბანყურელი მოსწავლეები ბორჯომს ესტუმრებიან.

დღე მიილია. დილით სოფელი თოვლით გადათეთრებული დაგვხვდა, ლურჯად მოლივლივე ტბა კი ნისლით გაუჩინარებულიყო. ვიჩქარეთ შინ დაბრუნება, რადგან ვიცოდით, უღელტეხილზე გადასვლა გავიჭირებოდა... მაგრამ ჩვენმა მძღოლებმა ამირან ხაჩიძემ და ოთარ თედელურმა მშვიდობით დაგვავბრუნეს შინ. ბოლოს აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ არა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ ვახტანგ მაისურაძის თანადგომა და დახმარება, ჩვენი გამგზავრება ტაბანყურის სკოლაში შეფერხდებოდა.

მადლობა ყველას, ვინც ხელს შეუწყობს ასეთი საჭირო საქმეების ხორცშესხმას.

ლელა ლაფაჩი მშობელი

სამაგისტრო გამოცდების შედეგები

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ და ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორმა, მაია მიმინოშვილმა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები გამოაცხადეს.

წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სამაგისტრო პროგრამებზე მიღების ახალი მოდელი დაინერგა, რომელმაც შესაძლებელი გახადა სამაგისტრო პროგრამების ცენტრალიზებულად, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგის მიხედვით დაფინანსება.

საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით დაფინანსდა 11 მიმართულება – ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალი, საინჟინრო, განათლება და პედაგოგია, საბუნებისმეტყველო, აგრარული, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნება, ჯანდაცვა – რომელთაგან, მთავრობის მიერ, პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული საბუნებისმეტყველო, აგრარული, საინჟინრო და პედაგოგიკის მიმართულებები.

წელს მაგისტრანტობის 5332-მა კანდიდატმა, აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად, პირველად ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა.

საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობის გამოცდის შედეგის გათვალისწინებით, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხა 3092 მაგისტრანტი, რომელთაგან პირველად, სრული სახელმწიფო დაფინანსება მიიღო 920-მა მაგისტრანტმა.

საერთო სამაგისტრო გამოცდის მიზნია: მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; საუკეთესო მაგისტრანტების გამოვლენა მათი დაფინანსების მიზნით.

ჩარიცხულ მაგისტრანტთა სიები შეგიძლიათ იხილოთ www.naec.ge

„ჯადოსნური ზღაპარი“



რა ლამაზი იყო იმ დღეს კოჯრის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი. მართლაც ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა იქაურობა. ქართული ზღაპრის გმირების ფორმებში გამოწყობილი ბავშვები და მონვეული სტუმრები გულისფანცქალით ელოდნენ ბაბილინასა და დირექტორ გიოს გამოჩენას. ეს მღელვარება უფროსებსაც გადასდებოდა და გული საოცრად უფანცქალბდათ, დღეს ისინიც ბავშვობის მოგონებებში იძირებოდნენ.

აი, სტუმრებიც გამოჩნდნენ... დარბაზი სიხარულით აივსო, ყველას აინტერესებდა „ნამდვილი ბაბილინას და დირექტორი გიოს“ ნახვა, მოლოდინმა ყველა ზღვარს გადააჭარბა – ყველაფერი ნამდვილ ზღაპარს ჰგავდა.

ზღაპარში, ძირითადად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, ერთმანეთს ცეკვასა და სიმღერაში, ზღაპრის გმირების უკეთ წარმორჩენაში ენაცვლებოდნენ. განსაკუთრებით თავი დაგვამახსოვრა **ლუდი ნოლიდელის** „თბილისის დილა“, **მარიამ აბუაშვილის** „გვირილა“, **ლალი პოლასოვის** „ბურატიანი“, **ანი თოდუას** „ჯამბაზებმა“, **გიორგი მაისურაძის** „ხალხურმა“, **გიორგი ზამთრულის** და **ბექა თავაძის** „ნოეს კიდობანმა“ და ცი-

რა **დავითაშვილის** მომხიბლავმა ცეკვამ. ღონისძიებაში II, III, IV, V და VI კლასის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. იქაურობას განსაკუთრებული ხიზლი შესძინეს მონვეულმა ბავშვებმა, ბასტი-ბუბუს სექტორის აღსაზრდელმა **ელენე შარაშიძემ**, **სალომე ბექაურმა** და ტყუებმა: **მარიამ და ნინო მარლიშვილებმა**. მონვეული იყვნენ საბავშვო ჯუჯუნალ „ჯუჯუნალის“ რედაქტორი **ტრისტან ჩიხლაძე**, გამომცემლობა „წყაროსთვლიდან“ – კომპოზიტორი **მაია ოთიაშვილი** და **ნანა ჯანჯუბაშვილი**.

ღონისძიება რომ ასეთი მომხიბლავი და დაუფიქრარი იყო ყველასათვის, ეს კოჯრის საჯარო სკოლის დირექტორის **ნინო ნიკლაურის**, სკოლის ორგანიზატორის **მაია ლოლაძის**, მუსიკის პედაგოგის **გულიკო თურქიას** და მხატვრული კითხვის ხელმძღვანელის **ავთანდილ ჩიხლაძის** დამსახურება იყო.

დასასრულს, ბაბილინამ და დირექტორმა გიომ, მონაწილე ბავშვებთან ერთად, შეასრულეს სიმღერა „ჰიმნი სიცოცხლეზე“, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და ბავშვებს აღუთქვეს, რომ ამიერიდან კოჯრის საჯარო სკოლის ხშირი სტუმრები იქნებიან.

ნინო საყვარელიძე

ფიქრები „შუშანიკის წამების“ ირგვლივ

23 ოქტომბერი თბილისის 37-ე საჯარო სკოლაში თითქოს არაფრით იყო გამორჩეული, თუმცა IX კლასის მოსწავლეები ძალიან ღელავდნენ, ფუსფუსებდნენ და ნელ-ნელა გროვდებოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში. ისინი ემზადებოდნენ კონფერენციისთვის, რომელიც ქართული ენის მასწავლებლის, **ნანა ორაგველიძის** ინიციატივით ჩატარდა. კონფერენციას, პირობითად, სახელიც თავად შეურჩიეს: **„ფიქრები იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ირგვლივ...“** ღელავდნენ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი კარგად გრძობდა, რაოდენ საპასუხისმგებლოა საკუთარი აზრი გამოთქვა ამ გენიალურ ნაწარმოებზე.

37-ე საჯარო სკოლა რუსულენოვანია. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებს“ თანამედროვე ენით დანერგილი, შემოკლებული ვარიანტიდან ეცნობიან, თუმცა პედაგოგთა ინიციატივით ახლა სრულ ტექსტს სწავლობენ. ამ ექსპერიმენტმა ის შედეგი გამოიღო, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ დიდი ინტერესით სწავლობენ, არამედ სურვილი გაუჩნდათ, თავიანთი მოსაზრებები ფურცელზე გადაეტანათ.

გთავაზობთ მცირე ამონარიდებს მოსწავლეთა ნაშრომებიდან და თავად განსაჯეთ, რაოდენ დიდი შთაბეჭდილებით დაიმუხტნენ ისინი „შუშანიკის წამების“ სრულად შესწავლის შემდეგ.

ავთანდილ არაბული: „ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა „შუშანიკის წამებმა“. გაოცებული დავრჩი შუშანიკის გამძლეობით, მოთმინებით, ერთგულებითა და ძლიერებით. სულია და სხეულის ბრძოლაში უღმა გაიმარჯვა.“

ეგვენია სარქისიანი: „დედოფალ შუშანიკის მიმართ თანაგრძობით განვიმსჯელებ. განსაკუთრებით იმოქმედა მისმა სიტყვებმა: „მან უფალოდ ნაყოფი ჩემი მოსჩულა და სანთელი ჩემი დაშრიტა...“

ინა კარაპეტიაძე: „ფიქრობ, რომ ეს ნაწარმოები რუსულ სკოლებში სრულად უნდა ისწავლებოდეს, რადგან ჩვენთვის ძალიან საინტერესო და გასაგები აღმოჩნდა.“

მარი არაბული: „შუშანიკის წამებში გვეხმის როგორც იმსხვერვეა ტიტა, იქცევა ლეონო, როგორ ქვითინებს შუშანიკი, ვარსკენის მხეცური ყვირილი, ადამიანთა ლოცვა, იაკობის მშვიდი და თბილი ხმა...“

ჯანი ხურცილავა: „არასოდეს გამინელდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნაწარმოებიდან მივიღე. საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების მოსწავლემ უნდა ისწავლოს „შუშანიკის წამება“, რათა გაიგოს, თუ რა ძველი ფესვები აქვს ქართულ მწერლობას.“

სალომე ყანჩაშვილი: „ცურტაველის ყველა პერსონაჟი ცოცხალი და ძალიან რეალურია. ნაწარმოების ენა რბილია, დახვეწილი და ლაკონური.“

მოსწავლეებს ღელვამ მაშინ გაუარათ, როცა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნინო გარსევანიძემ** შეაქო, მოუწონა ნააზრევი და წარმატებები უსურვა.

მთავარი მაინც ისაა, რომ მოსწავლეები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ქართული მწერლობის ფესვებს.

ნანა ორაგველიძე

37-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ლაშქრობა ქვაბისხევში

ლამაზია ოქროსფერი შემოდგომა, განსაკუთრებით კი ბორჯომის ხეობაში. დაუფიქრარია ის საათები და წუთები, რომლებიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გავატარეთ. დვირის საჯარო სკოლის ეზოდან ლაშქრობაზე ქვაბისხევის მარიამმინდის ეკლესიის შემოგარენში გავეშურეთ. ზურგზე საველე მონაცვობებით შეიარაღებული მხიარულად მივეშურებოდით. რამდენიმე კილომეტრი შეუსვენებლად ვიარეთ. დაღლა არც გვიგრძენია, დაბურულ ტყეში შესულებს ნამიანი ხეები, ოქროსფერი ფოთლები და მთის პატარა მდინარე შემოგვეგება. მოვძებნეთ დიდი მინდორი. თემურ მასწავლებელმა კარვის დადგმა გვასწავლა, შემდეგ კი X, XI, XII კლასის მოსწავლეები ერთმანეთს კარვის დადგმაში შევეჯიბრეთ.

კარვები და საველე მონაცვობლობა, 2008 წლის ოქტომბერში, სკოლამ საჩუქრად მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებისთვის.

კარვების აწყობასა და დადგმაში გვეხმარებოდნენ ჩვენთან ერთად მყოფი მშობლები, ფიზკულტურის მასწავლებელი **ლუიზა მაჭარაშვილი**, კლასის ხელმძღვანელები, სკოლის დირექტორი, უზნის ინსპექტორი **ელენე გელაშვილი** და ინსპექტორ-გამომძიებელი **ლევან ხუციშვილი**. შემდეგ ერთმანეთს შევეჯიბრეთ ზურგჩანთებით 100 მ მანძილის დაფარვაში, ბაგირის გადაზიდვაში,



ვითამაშეთ ფრენბურთი, მოვაგროვეთ ფიჩხი და გავაჩაღეთ კოცონი. თითქმის ყველა ღონისძიებაში გვყავდა გამარჯვებულები, მაგრამ აზრი ერთი იყო, ყველა გამარჯვებული, გახარებული და ბედნიერი ვიყავით. სოკოებივით ლამაზად იყო გაშლილი კარვები, შუადღით დასასვენებლად მოვენწყვეთ, ისმოდა სიმღერა და სიცილი. მთელი ტყე ჩვენთან ერთად ხარობდა, ჩამავალი მზის სხივები საოცარი გულთბილობით გვემშვიდობებოდნენ, გადავიღეთ უამრავი სურათი, ყოველივე ფირზე აღებეჭდეთ.

შეუმჩნევლად გავიდა დღე, რომელიც სამუდამოდ ჩარჩება ჩვენს მეხსიერებაში. სკოლის დირექტორი დაგვიპირდა, ბოლო ზარის შემდეგ კოდინის მთის დასალაშქრად გავემგზავროთ. რა შეედრება სკოლის წლებს, თუ შინაარსიანად და მიზანმიმართულად გაატარებ.

ნათია კეკელიძე, ეკა ხუციშვილი, ლალი ჯვარიძე

ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეები

„საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“

თბილისის 51-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **დავით ლავილაძე**) ბიბლიოთეკარმა **რუსუდან მარკოზიამ** IX და IX კლასის მოსწავლეები (პედაგოგი **ქეთევან ლელაღუტაშვილი**) მონაწილეობით გამართა ლიტერატურული საღამო – „საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“. ბავშვებმა საინტერესოდ წარმოადგინეს წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის, სამშობლოსათვის დამამრალი მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ღონისძიებას თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ესწრებოდნენ დამეგობრებული საზღვრისპირა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის (დირექტორი **ლალი მენთეშაშვილი**) IX კლასის ქართული სექტორის წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც მონიბლნენ არა მარტო ამ შთაბეჭდავი ღონისძიებით, არამედ 51-ე საჯარო სკოლის ინტერირით. მათ თავიანთი თვალით ნახეს სკოლა, სადაც მოსწავლეობის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა.

51-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ, **მერი ალბორიშვილმა** და ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, **კლარა ჩხაიძემ** მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორს ქალბატონ **რუსუდან მარკოზის** და IX კლასის მოსწავლეებს პატრონული მუხტით და სულსადაც და შემდგომი წარმატებები უსურვა.

მარიკა კოპიაშვილი

ბულინგი – BULLYING



რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თაყაიშვილი

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვა

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვისას მნიშვნელოვანია „არაბრალდებითი პოზიციის“ დაცვა – არა იმის ძიება, თუ ვინ არის ამ სიტუაციაში დამნაშავე, არამედ იმის გარკვევა, თუ რა მოხდა, რა როლი შეასრულა სიტუაციაში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა. განხილვაში შეიძლება ყველა ბავშვი მონაწილეობდეს – „აგრესორიც“, მსხვერპლიც, დამკვირვებლებიც. მაგრამ თუ აგრესორს და მსხვერპლს არ სურთ სიტუაციის განხილვაში მონაწილეობა, მას განვიხილავთ მხოლოდ დამკვირვებლებთან ერთად.

განსახილველი საკითხები:
■ რა მოხდა (ვთხოვთ ბავშვებს გვიამბონ, როგორ აღიქვეს მომხდარი შემთხვევა. მოვისმინოთ ყველა ვერსია).
■ რასთან დაკავშირებით და როგორ დაინყო ბულინგი?
■ რა როლს ასრულებდნენ ის ბავშვები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ ბულინგში?
■ როგორ შეიძლება ბულინგზე დაკვირვებას გავლენა მოეხდინა „აგრესორ“ ბავშვზე?
■ რას გრძობდნენ ბავშვები ბულინგზე დაკვირვების დროს?
■ რას გრძობენ ისინი ამჟამად?
■ მათი აზრით, რას გრძობს ის ბავშვი, რომელმაც ბულინგი განიცადა?
■ რა შედეგით მათ გაეკეთებინათ ბულინგის შესაწყვეტად?
■ რა შეუძლიათ გააკეთონ ახლა იმისთვის, რომ დაზარალებულმა ბავშვმა თავი უკეთ იგრძნოს?
■ სხვანაირად როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში? (სხვადასხვა პოზიციის – აგრესორის, მსხვერპლის ან დამკვირვებლის)?

ბულინგზე დამკვირვებელ ბავშვებთან საუბარი მათ დაეხმარება უკეთ გააცნობიერონ, თუ რა მოხდა, როგორ იყო მათი როლი და როგორი შეიძლება ყოფილიყო, ასევე, გაითვალისწინონ, თუ როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში.

ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბავშვების მხარდაჭერა და ნახალისება, რომლებიც ცდილობდნენ ბულინგის შეწყვეტას და მსხვერპლი ბავშვის დახმარებას.

ბულინგის პრევენცია

პრევენციული ღონისძიებების გატარების ნაყოფით (D. Olweus, 1997) ნორვეგიის 42 სკოლაში ბულინგის მასშტაბები 50%-ით შემცირდა. უფრო იშვიათი გახდა ვანდალიზმი, გაკვეთილების გაცდენისა და ცემის შემთხვევები. დიდი ბრიტანეთის სკოლებში პრევენციული ზომების გატარების შედეგად ბულინგის მასშტაბების შემცირება შესაძლებელი გახდა 20-80%-ით

(British Department for Education, a University of Sheffield (1994)).

ბულინგის მასშტაბების შესამცირებლად აუცილებელია ერთიანი კამპანიის ჩატარება და სკოლებში პრევენციული პროგრამების დანერგვა

პრევენციული პროგრამების განხორციელების წარმატებას განსაზღვრავს ბულინგის პრობლემისადმი კომპლექსური, „მთლიანი სკოლის“ მიდგომა. ბულინგზე ეფექტური რეაგირებისთვის აუცილებელია სკოლებში პრევენციული პროგრამების დანერგვა და განხორციელება **სამ დონეზე**:

- 1. ინდივიდუალური დონე;
- 2. კლასის დონე;
- 3. სკოლის დონე.

ინდივიდუალური დონე

■ პედაგოგებისთვის სწავლება, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ ბულინგის მსხვერპლ ბავშვსა და ბულინგის ინიციატორ ბავშვს.
■ აგრესორი/დაზარალებული ბავშვების მშობლებისათვის ბულინგზე რეაგირების გზების სწავლება.

მნიშვნელოვანია:

■ ბავშვის ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ მას აქვს უფლება, მიმართოს დახმარებისთვის.
■ ხშირად ბავშვები არაფერს უყვებიან მათ წინააღმდეგ ბულინგის განხორციელების შესახებ, რადგან ეშინიათ, რომ მათ დამსმენებლად ჩათვლიან.

■ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს დავეხმაროთ გაიგონ განსხვავება დასმენასა და დახმარების ძიებას შორის – როცა ბავშვს უჭირს და არ იცის, როგორ გაუმკლავდეს თავის სიძნელეებს, მას აქვს უფლება დახმარებისთვის იმ ადამიანებს მიმართოს, ვისაც ენდობა.

კლასის დონე

■ მოსწავლეებისათვის ბულინგის გამოვლინებისა და თავისებურებების გაცნობა.
■ ბულინგთან გასამკლავებლად დამაჯერებელი ქცევების გამოყენებისა და ბულინგის შემთხვევის მოზრდილთათვის შეტყობინების სწავლება:
– ნახალისება, რომ უშიშრად მიმართონ უფროსებს; შეთანხმდნენ,

რომელ უფროსს შეუძლიათ მიმართონ.

– ბავშვებთან ერთად გასაჩივრებასა და დახმარების ძიებას შორის განსხვავების განხილვა;
– ხერხების განსაზღვრა, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ბულინგისაგან სხვა ბავშვების დაცვა;

■ კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვა ბრალდების გარეშე.

■ გაცნობიერება იმისა, რომ აგრესიულ ქცევას ან ბულინგს მოყვება გარკვეული გართულებები.

■ კლასში მოსწავლეების მიერ ბულინგის საწინააღმდეგო ნების დადგენა.

■ მონაფთვა მეგობრული, კეთილგანწყობილი ქცევების ამოცნობა და ნახალისება.

■ ძალადობის პრევენციის კურსი, რომელიც ეხმარება ბავშვებს პროსოციალური უნარ-ჩვევების გამოუმუშავებასა და იმპულსურ-აგრესიული ქცევის აღკვეთაში:

- 1. პრობლემის ამოცნობა;
- 2. ემპათიის ტრენინგი;
- 3. რისხვის მართვა;
- 4. პრობლემის მოგვარება;
- 5. უნარების გამოყენება.

კლასში შეიძლება კედელზე გაიკრას ქცევის ძირითადი ნუსი:

ჩვენი კლასი ყველას ეკუთვნის. ჩვენ გვინდა გვექონდეს მეგობრული და უსაფრთხო კლასი, სადაც ყველა შეეცდება ერთმანეთის დახმარებას. ჩვენ არ შევუირვედებით ვინმეს დევნას, შევიწროებთ, გარიყვას!

სკოლის დონე

■ სკოლის სტრატეგიის შექმნა;
■ პრობლემის შექმნა იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ თავიანთი სიძნელეების მოყოლა (მაგალითად, ანონიმური საფოსტო ყუთები);
■ შესვენებებზე იმ ადგილების გაკონტროლება, სადაც ხშირად ხდება ბულინგი;

■ ბულინგის დონის შეფასება:
– რამდენად ხშირია სკოლაში ბულინგის შემთხვევები.
– როგორი ფორმით და სად ხდება ბულინგი.
– ვის უყვებიან ბავშვები ბულინგის შემთხვევების შესახებ.
– როგორ რეაგირებენ გარემომცველები;
■ მშობლების, პერსონალის, მოსწავლეების სწავლება;

■ იმ პირთა განსაზღვრა, ვისაც ბულინგის შემთხვევებში ბავშვებმა შეიძლება მიმართონ (ტელეფონით ან პირადად);

■ მოსწავლეების მიერ სხვა მოსწავლეების მხარდაჭერა („თანატოლები თანატოლებისთვის“).

აუცილებელია მოსწავლეებთან ერთად სასკოლო უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება და გაანალიზება.

ბავშვების უფლებებია:

■ ყველა ბავშვს აქვს სწავლის უფლება;

■ ყველა ბავშვს აქვს უსაფრთხოდ ყოფნის უფლება;

■ ყველა ბავშვს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ნივთები ხელყოფისაგან;

■ ყველა ბავშვს აქვს დახმარების მოთხოვნის და მიღების უფლება;

■ ყველა ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კლასის ყველა ერთობლივ საქმიანობაში.

ბავშვების მოვალეობებია:

■ ბავშვებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ერთმანეთს სწავლაში;

■ ბავშვებმა არ უნდა მიაყენონ ერთმანეთს არც ფიზიკური და არც ემოციური შეურაცხყოფა;

■ ბავშვებმა არ უნდა დააზიანონ სხვების ნივთები;

■ ბავშვებმა უნდა იზრუნონ თავიანთი კლასის უსაფრთხოებაზე;

■ ბავშვები უნდა დაეხმარონ ერთმანეთს;

■ ბავშვები უნდა შეეცადონ ყველა ბავშვის ჩართვას კლასის ერთობლივ საქმიანობაში.

პრევენციული პროგრამათა კომპონენტები

კლასის საათი ბულინგის შესახებ

კლასის საათზე ან სპეციალურ მეცადინეობებზე პედაგოგები ესაუბრებიან ბავშვებს ბულინგის შესახებ. რეკომენდებულია შემდეგი თემების განხილვა:

■ ბულინგის განსაზღვრა:
– რა არის ბულინგი? ქცევის რა ფორმებს ეწოდება ბულინგი?

– განიხილონ, რატომ ხდება ბულინგი;

– ჩამოთვალონ გრძნობები, რომლებსაც ბულინგი იწვევს;

– ისაუბრონ სკოლაში ბულინგის სიტუაციების შესახებ.

■ სკოლის სტრატეგიის ან გეგმის გაცნობა:

– როგორია სკოლაში ქცევის ნესები?

– როგორია სკოლის გეგმა ბულინგის პრობლემის გადასაწყვეტად?

– როგორ შეიძლება ბავშვები იყვნენ ჩართული ამ გეგმის განხორციელებაში?

– როგორია თითოეული პირის პასუხისმგებლობა ბულინგის პრობლემის გადაწყვეტაში?

– მოსწავლეების მიერ სხვა მოსწავლეების მხარდაჭერა („თანატოლები თანატოლებისთვის“).

„საბავშვო ფოსტა/ხაზი“

– ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური. ბავშვს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სიძნელეებთან დაკავშირებით:

– უთანხმოება მეგობრებთან, მშობლებთან ან მასწავლებლებთან;

– კონფლიქტები;

– სიძნელეები სწავლაში;

– თუ გრძნობს, რომ არ უყვართ და მარტოა.

ინტერნეტი დახმარება

– სპეციალური საიტი, სადაც ბავშვს შეეძლება თავისი პრობლემა გაუზიაროს, მაგალითად, რომელიმე მულტიმედიის პერსონაჟს ან ფილის გმირს.

სპეციალური ატრიბუტიკა

– სკოლის მოსწავლეებმა შეიძლება ატარონ, მაგალითად, ლურჯი სამკლავურები იმის დასტურად, რომ უერთდებიან სკოლაში ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლას.

ცნობილი ადამიანების ჩაბმა (პატარა ბარათების აქცია)

– პატარა ბარათებზე ერთ გვერდზე განთავსებულია მათი ბავშვობისდროინდელი ფოტოები, ხოლო მეორე გვერდზე მოთხრობილია ბულინგის შემთხვევა მათი ბავშვობიდან. ეს ბარათები დაეგზავნა ლიტვის ყველა სკოლის მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეებს. სულ ასეთი ბარათი მიიღო 90 000 მოსწავლემ.

პრობლემის წამოგრა

საინფორმაციო მასალის გამოცემა

საზოგადოებასთან კავშირების კამპანია

მეთოდის მითითების მომზადება სკოლებში ბულინგის შესამცირებლად

კამპანია “შეწყვიტე ჩაგვრა”

სემინარები სკოლებისათვის

მულტიდისციპლინარული კონფერენციის ორგანიზება

ინტერნეტგვერდის შექმნა

სიმპოზიუმი – „ქართული ხელნაწერი“



პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ქართული ხელნაწერი“ – გასული თვის ყველაზე მთავარ კულტურულ ღონისძიებად შეიქმნა ჩართვალს თავისი მასშტაბითაც და მნიშვნელოვანობითაც... ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალბათ, ვერ დაიკვირვებს გამორჩეულ პირობებს, სხვა საცავებისგან განსხვავებით, მაგრამ ასეთი ტრადიციის დამკვიდრებით, სამართლიანად შეიქმნა იმავალს – მსგავსი სიმპოზიუმი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დასრულებით, გამორჩეული თემების მრავალფეროვნებით, მონაწილე ქვეყნების სიუხვითა და უნიკალური გამოცემებით, ახალი საეჭაპო გამოცემით – პირველი ფაქსიმილური გამოცემით ქართულ საგამომცემლო ისტორიაში – „ლაილაის ბიგლია“ – „თაბაგის ოცნება“, ქართული კულტურის საპროექტული მინი-ალბომებით, ქართული კულტურის – „ქართული ხელნაწერი“ პოპულარიზაციისთვის – ვფიქრობთ, მკითხველის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. „ქართული ხელნაწერი“ დეტალურად გვესაუბრება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **გუბა კუდავა**:

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი უპირველესთაგანი დაწესებულებაა, ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური მიმართულებით; თავიდანვე, ქართველოლოგიურ კვლევების ერთ-ერთ უპირველეს ცენტრად ჩამოყალიბდა. ხელნაწერთა ინსტიტუტი 50 წლის წინ, 1958 წლის 30 ივნისს, პროფესორ ილია აბულაძის ინიციატივით დაარსდა. პირველი დირექტორიც ის გახლდათ. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართველოლოგიური კვლევები. სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებსა და ცენტრებს შორის ხელნაწერთა ინსტიტუტი გამორჩეული იყო. სულ მაინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სამუშაოდ მოვედი, გზადაგზა ვხვდები ამ მიზეზებს, ერთ-ერთი (ამ მნიშვნელოვანი დაწესებულების დამაარსებლის მნიშვნელობის და მის მიერ შექმნილი კლიმატის გარდა) გახლავთ ის, რომ სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან განსხვავებით, ჩვენი არის კოლექცია და ამ კოლექციაზე მიბნეული კვლევა, რაც უფრო მეტ მიმზიდველობას და ხიბლს მატებს აქაურებს. ხელნაწერთა ინსტიტუტი (ასე იწოდებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, 2007 წლიდან დაერქვა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) საერთაშორისო ურთიერთობებითა და საერთაშორისო პროექტების განხორციელებით თვალსაზრისითაც გამორჩეული ინსტიტუტი იყო (რაც საბჭოთა პერიოდში რთული მისაღწევი იყო, მაგრამ ხელნაწერთა ინსტიტუტმა შეძლო). ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ეს მისი ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების დამსახურებაა. გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო (ალბათ, უფრო სპეციფიკური ერთიანი საერთაშორისო ფორუმი, საერთაშორისო კონფერენცია ხელნაწერის თემაზე არ ჩატარებულა. სხვადასხვა სახის კონფერენციები, ცხადია, ტარდებოდა. გადაწყვეტილებით, საფუძველი ჩაეყარა ღონისძიებისთვის, რომელიც პერიოდულად, სამ წელიწადში ერთხელ, ჩატარდება და რომლის მიზანია იქნება, ერთი მხრივ, არსებული მდგომარეობის შეჯამება, მეორე მხრივ, მიმდინარე სამეცნიერო პროექტების წარდგენა სამეცნიერო წრეებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის; ღონისძიების მესამე მიზნად შეიძლება მომავალი სამეცნიერო კვლევების ინიცირება თუ პროვოცირება განვიხილოთ. გარდა ამისა სამეცნიერო მიზნებისა, სიმპოზიუმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიზანი ჩვენი ცენტრის ან საერთოდ ჩვენი თემის კულტურის პოპულარიზება იყო. ქართველებს გამორჩეულად საამაყო თემები

ბი გვაქვს: ჩვენი ფოლკლორი, ის, რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სამშობლოა, და ა.შ. ერთ-ერთი, რითაც შეიძლება განსაკუთრებულად ვიამაყოთ, დამწერლობაა, რომელიც სხვა ორიგინალური დამწერლობის მატარებელი ხალხებისაგან იმითაც გამოვარჩევს, რომ სამი სხვადასხვა ტიპის მქონე დამწერლობის (ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან განსხვავებული) პატრონი ერთი ვართ და, რაც მთავარია – ამ დამწერლობაზე დაფუძნებული დიდი მნიშვნელოვანი ტრადიციის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხელნაწერების, ალბათ, ერთი პროცენტიც არ არის ჩვენამდე მოღწეული, იმათგან, რაც იქმნებოდა, მაინც უმდიდრესი კოლექციის პატრონი ვართ და ამ უმდიდრესი კოლექციის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ამ დიდი კულტურის პოპულარიზებისთვისაც, ვფიქრობ, საჭირო იყო ასეთი მასშტაბური სიმპოზიუმის ჩატარება, ამიტომაც დავარქვით სახელად „ქართული ხელნაწერი“. ვფიქრობთ, ეს სერიოზული კომპონენტი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ.

– რა მიმართულებები იყო წარმოდგენილი სიმპოზიუმზე?

– სიმპოზიუმისთვის ორი წლის წინ დაიწყეთ ფიქრი და მზადება, გარკვეული დრო დასჭირდა კონკრეტული ჩამოყალიბება და ინფორმაციის დაგზავნას ჩვენი კვლევებისათვის საქართველოში თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ. საბოლოოდ რამდენიმე სექცია ჩამოყალიბდა. ქართულ ხელნაწერს აქვს როგორც ვიწრო მნიშვნელობა, ისე ფართო. ვიწრო მნიშვნელობით ის ხელნაწერი წიგნი, ანუ ხელით გადაწერილი ძველი წიგნია, ფართო გაგებით კი მთელი კულტურა, ანუ მასში შეგვიძლია შევიყვანოთ ისტორიული დოკუმენტები, საარქივო მასალა და ა.შ., ასევე, ამ მასალასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევითი მიმართულებები. საბოლოო ჯამში, სექციები ასე შედგა: ტექსტოლოგია, კონდიტოლოგია ტექსტოლოგიისა, რომელიც ხელნაწერის სტრუქტურასა და აგებულებას შეისწავლის. გარდა ამისა, მუშაობდა დიპლომატიკის წყაროთმცოდნეობა, რომელიც შეისწავლის ისტორიულ დოკუმენტებს, მათი აგების და დათარიღების პრინციპებს, გამოყენების მეთოდოლოგიას, როგორც წყაროს და ა.შ. წარმოდგენილი იყო არქივთმცოდნეობის მიმართულება. ჩვენს ცენტრში 200-მდე საარქივო ფონდია დაცული, სადაც თავმოყრილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მწერლების, პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი არქივები. ერთ-ერთი მიმართულება იყო, ასევე, წიგნის ხელოვნება, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მის შინაარსთან. ეს დიდი

კულტურა, კანონზომიერად, სამწიგნობროდ, პრაქტიკიდან გამოვიდა, ვერ ვიტყვით, რომ მოკვდა, მაგრამ რეალურად წარსულს ჩაბარდა, ვცდილობთ ავალორიზონოთ. თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა. მას შემდეგ, რაც ბეჭდური ტექნოლოგიები შემოვიდა, ხელნაწერის ფუნქცია დაიკარგა, თუმცა, ბეჭდური კულტურაც ხომ სწორედ იქიდან იღებს სათავეს. შემდეგი მიმართულება იყო დიგიტალიზაცია – თანამედროვე მიმართულება, რომელიც ხელნაწერების ციფრულ მატარებლებზე გადატანას ისახავს მიზნად. დიგიტალიზება ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ფაქტობრივად, ეს დროის მოთხოვნაა – ხვალისდელი დღე ჩვენი ტიპის დაწესებულებებისთვის. ადრე თუ გვიან, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნიშნები ციფრული ასლების სახით უნდა შევიხანოთ. ეს მათ კვლევა-საც აადვილებს და დაკონსერვების სწრაფი, იაფი და ეფექტური საშუალებაა, მაშინ როდესაც ხელნაწერის დაკონსერვებას სჭირად ათეული წლებიც კი სჭირდება. ბოლო წლებში, რაც ეს ტექნოლოგია მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში განვითარდა. დიგიტალიზებას – ხელნაწერების გადაღებას თავისი მეთოდოლოგია აქვს, აპარატურა – ტექნიკური მახასიათებლები და ბევრი სხვა ნიუანსი. სჭირად დიგიტალიზებას, ხელნაწერთა დარჩევნების ან ინტერნეტში განთავსების მიზნით, მონაცემთა ბაზების – ელექტრონული კატალოგების კეთებაც უკავშირდება. ასე რომ, მთელი რიგი პრინციპებია გასათვალისწინებელი. მისასაღებელია, რომ ამ მიმართულებაში რამდენიმე უცხოელი მონაწილე გვყავდა. ცალკე წარმოვადგინეთ ძალზე აუცილებელი და საჭირო მიმართულება – რესტავრაცია-კონსერვაცია. სამწიგნობროდ, ჩვენს ქვეყანაში სარესტავრაციო საქმე ისეთ დონეზე არ არის, როგორც სხვა სამეცნიერო მიმართულებები, ამას ობიექტური მიზეზები აქვს – საკმაოდ ძვირი პროფესიაა, რომელიც უცხოეთთან ინტენსიურ ურთიერთობებს მოითხოვს. საბჭოეთის პერიოდში ეს ურთიერთობები მხოლოდ მოსკოვით და საბჭოთა რესპუბლიკებით შემოიფარგლებოდა. ამ მიმართულების სისუსტის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ესეც იყოს. ამიტომ უფრო მეტად არის საჭირო ამ დარგის სტიმულირება და მისასაღებელია, რომ სიმპოზიუმზე ეს მიმართულებაც იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, სიმპოზიუმზე ფილოსოფიის, ღვთისმეტყველების და კულტურის კვლევების სექციებმა იმუშავა.

– სიმპოზიუმში საკმაოდ წარმოდგენილი იყო როგორც მონაწილე ქვეყნებით, ისე მომხსენებლებით...

– სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 100-მეტამ მომხსენებელმა, 14-მა დაწესებულებამ მსოფლიო მასშტაბით, წარმოდგენილი იყო ათი ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით: საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ესპანეთი და ა.შ. სიმპოზიუმში მონაწილე უცხოელები სამ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ქართული

ლოლოგები, ანუ ადამიანები, რომლებიც ინტენსიურად იკვლევენ ქართულ მწერლობას, ისტორიას და ა.შ.; ადამიანები, რომელთა კვლევებში საქართველოს და ქართულ მასალას გარკვეულ ადგილი უჭირავს; ადამიანები, რომელთა კვლევები დღემდე საქართველოს არ უკავშირდებოდა, მაგრამ ხელნაწერ კულტურასთან დაკავშირებული მოხსენებები წარმოადგინეს. მართალია, სიმპოზიუმს ქართული ხელნაწერი ერქვა, მაგრამ მხოლოდ ქართული ხელნაწერი კულტურით არ შემოიფარგლებოდა, ქართული ხელნაწერის პოპულარიზებაზე აქცენტი გაკეთდა, მაგრამ ეს სახელწოდება მაინც პირობითი იყო, რადგან ქართულის პარალელურად წარმოდგენილი იყო მსოფლიო ხელნაწერი კულტურის კვლევის შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმპოზიუმში ჩატარდა საქართველოს პარლამენტის პატრონაჟითა და „რუსთაველის ფონდი“ ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს პარლამენტის პატრონაჟი, იმ კუთხითაც მნიშვნელოვანი იყო, რომ ხაზი გაესვა არა მარტო ამ ღონისძიების, არამედ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ზოგადად ქართული ხელნაწერი კულტურის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

რუსთაველის ფონდის მიერ გამოცემულ სამეცნიერო კონფერენციების კონკურსში დაფინანსებული სამი პროექტიდან ერთ-ერთი სწორედ ჩვენი ცენტრის პროექტი იყო. დაფინანსების მაქსიმალური თანხა – 30 ათასი ლარი, ცხადია, ასეთი მასშტაბითი ღონისძიების ჩასატარებლად საკმარისი არ იყო, ამიტომ ჩვენ სხვადასხვა ორგანიზაციებისგან გარკვეული მხარდაჭერა მივიღეთ. ცენტრის ბიუჯეტიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში, საგანგებოდ სიმპოზიუმისთვის, დანაზოგი თანხაც დავამატეთ და ერთობლივად პირველი სერიოზული და მნიშვნელოვანი საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქართული ხელნაწერი – ჩავატარეთ.

სიმპოზიუმს ორი ათეული მხარდაჭერი ჰყავდა, მათ შორის მინდა გამოვყო თბილისის მერია, რომელმაც რამდენიმე კომპონენტი დააფინანსა – გამოფენა, სიმპოზიუმისთვის განკუთვნილი სასაჩუქრე გამოცემები – ალბომები: „ქართული ხელნაწერი“ და „ღვთისმშობლის ციკლი ქართულ მინიატურაში“. დაგვეხმარა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანში – საგანგებოდ იზრუნა ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, შეკეთდა ჩვენამდე მოსასვლელი გზა. რაც დიდი შედეგია იყო. საერთოდ, ჩვენი ცენტრის მიმდებარე ტერიტორია ცუდ მდგომარეობაშია, რაც დიდ სირთულეებს გვიქმნის. ჩვენ ისეთი ტიპის დაწესებულება ვართ, რომელიც საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობას მოითხოვს. საქართველოში, ტურიზმის განვითარების კვლავ ეს ცენტრიც უნდა განვიითარდეს და ჩაერთოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში. თუ რაიმე კოლექცია აქვს ჩვენს სახელმ-

წიფოს, რითაც შეიძლება თავი მოიწონოს, ერთ-ერთი უპირველესთაგანი სწორედ ჩვენს ცენტრში დაცული კოლექციებია.

– და მაინც, რა კოლექციის პატრონი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი?

– ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექცია შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავყოთ: ხელნაწერი ნიგნები, ისტორიული დოკუმენტები, პირადი არქივები, სხვადასხვა სამუზეუმო ნივთები და საბიბლიოთეკო კოლექციები. ამ ხელნაწერებში არის როგორც ქართული, ისე უცხოური მასალა. ქართული ხელნაწერი წარმოდგენილია, დაახლოებით, 10 ათასი ქართული ხელნაწერით, მათი ქრონოლოგია მეხუთე-მეოცე საუკუნეებია, მათ შორის არის ბევრი, რამდენიმე ათასი, პალიმფსესტიანი ფურცელი. პალიმფსესტი არის ხელნაწერი, რომლის ქვედა ფენა გადამოლილია და მეორედაა გამოყენებული. დროთა განმავლობაში უკეთ ჩნდებოდა ქვედა ფენა, ზოგიერთი მათგანი სპეციალური აპარატურის გარეშეც კი იკითხება. ამან იხსნა, ფაქტობრივად, საბოლოო განადგურებისგან მეხუთე-მეათე საუკუნეების ტექსტები, რომლებიც, ძირითადად, სწორედ პალიმფსესტების სახითაა შემორჩენილი. ეს ტექსტები უზარმაზარ ინფორმაციას ინახავს და მათ შორის ფორჯერობით, ჩვენთვის უცნობ ინფორმაციასაც კი (თვალსაზრისით შეიძლება რომ პალიმფსესტია, მაგრამ მისი ამოკითხვა სპეციალური აპარატურის გარეშე შეუძლებელია). დიგიტალიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, მთელ მსოფლიოში, სწორედ ტექნოლოგიების დახვეწაა, რათა მოხდეს პალიმფსესტების გადაღება და შემდეგ ამოკითხვა-შესწავლა. ჩვენს დაწესებულებას, წლების წინ, ჰქონდა სპეციალური პროექტი უცხოელ კოლექტებთან ერთად, რომლის საშუალებითაც სინას მთაზე დაცული ხელნაწერის პალიმფსესტიანი გვერდების დიგიტალიზება და შესწავლა მოხდა. სინას მთაზე აღმოჩენილ ხელნაწერებში ჩვენი დაწესებულების ყოფილი დირექტორმა, პროფესორმა ზაზა ალექსიძემ, სწორედ ასეთი გადაღების შედეგად, ალბანურ ტექსტებს მიაკვლია. ალბანური დამწერლობა დაკარგულად იყო მიჩნეული და მისი სრულად აღდგენა და პირველი ტექსტების აღმოჩენა სწორედ ზაზა ალექსიძის უკავშირდება. ასე რომ, ვინ იცის, კიდევ რამდენი აღმოჩენა გვაქვს წინ.

– რა პირობებშია საცავები და საერთოდ, როგორ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირობები?

– თუკი საქართველოში სადმე არის დაცული სიძველეები და მათ დასაცავად საცავებში, შექმნილია საზოგადოებასთან პირობები შექმნილი, ერთ-ერთი უპირველესი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა. თუმცა, ეს ნამდვილად არ შეესაბამება დაცული კოლექციის მნიშვნელობას, ანუ არ არის ადეკვატური არც კოლექციის მნიშვნელობის

და არც ჩვენი სახელმწიფოს შესაძლებლობების. სახელმწიფოს გაცილებით მეტი შეუძლია. ეს კოლექცია მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მისი შენახვის პირობები გაუმჯობესდეს. რას ვგულისხმობ კარგ პირობებში? განსხვავებით სხვა მუზეუმებისგან, სადაც უმძიმესი მდგომარეობაა, ჩვენთან გაცილებით უკეთესი პირობებია. გარდა ამისა, კლიმატკონტროლი შექმნილია სამივე ძირითად საცავში. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან. ჯერ ერთი ეს აგრეთვე სერიოზულადაა განსავითარებელი, მუდმივი მზურნველობა, ყურადღება და განახლება სჭირდება. გარდა ამისა, მუდმივი ტემპერატურა და ტენიანობა სჭირდება არა მხოლოდ საცავებს, არამედ ყველა იმ ადგილს, სადაც ხელნაწერი დიდძალად მოხვედრის შემთხვევაში უნდა იქნას შენახული. რესტავრაციისა და დიგიტალიზაციის ლაბორატორიები, საგამოფენო დარბაზი (სადაც არც გვაქვს კლიმატკონტროლი). ამიტომ იძულებული ვართ მხოლოდ რამდენიმე დღიანი გამოფენები გაემართოთ. არადა, არის კოლექციები, რომლის გამოფენა თვითონ ან, თუნდაც, ნლობით უნდა გრძელდებოდეს, უნდა გვექნებინა მუდმივი ექსპოზიციები. გარდა ამისა, მორალურადაც და ფიზიკურადაც, დაძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს შესანახი ინვენტარი, იქნება ეს სტელაჟები, ინდივიდუალური ბოქსები, კონვერტები თუ ა.შ. ხელნაწერები თაროებზე ინვენტარით განლაგებული არ უნდა იყოს – ფეხზე არ უნდა იდგეს, დაწოლილი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ფართი ამის საშუალებას არ იძლევა. ამას ვაკეთებთ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ექსპონატების შემთხვევაში, მაგრამ ათასობით ერთეულისთვის საჭირო ინვენტარი და ფართობი, სამწუხაროდ, არ არის. გარდა ამისა, უცხოურ საცავებში, ადგილის ეკონომიის მიზნით და მომავალი გაფართოების პერსპექტივისთვის, მოფიქრებულია მოძრავი სტელაჟები და ა.შ. თითოეული ინდივიდუალური ბოქსი რამდენიმე ათეული ევრო ლირს, ფუფუნებად ხშირად მსოფლიოს ცნობილ ცენტრებსაც არ აქვს მთელი კოლექციისათვის, მაგრამ, ბუნებრივად, პროცესი დასრულდება. ჩვენი პრობლემა ისიც არის, რომ გვაქვს მხოლოდ ერთი საგამოფენო დარბაზი, რაც პარალელურად სხვადასხვა თემატიკის გამოფენების გამართვის საშუალებას არ იძლევა.

– თანამედროვე მოთხოვნებს არც შენობა პასუხობს. ხომ არ იგეგმება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ახალსახეობა?

– ეს შენობა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის სპეციალურად აშენდა, მაგრამ გადმოსვლის დღიდან დაიწყო ფიქრი ახალ შენობაზე. აღმოჩნდა, რომ არც ადგილი და არც შენობა არ არის ხელსაყრელი ხელნაწერთა საცავებისათვის. ნიადაგი ძალიან გრუნტიანია, ერთი საცავი სრულად და მეორე ნახევრად მიწაშია. მიუხედავად იმისა, რომ ტენიანობის შესამცირებლად დამცავი ბალიშები გაკეთდა, ეს ექსპონატებზე გავლენას მაინც ახდენს. რამდენადაც ვიცო, ადრე, ამ ტერიტორიაზე ტბა ყოფილა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის ახალი შენობის აშენების თაობაზე დაწყებული ფიქრი დღემდე გრძელდება, მაგრამ ამას დღემდე თავი ვერ მოეხა, შესაბამისი ადგილის შერჩევის პროცესი ძალიან გაინეწა. იყო ასეთი იდეაც, მაგალითად, სომხეთში მსგავსი დანესტრების საცავები მოწყობილია კლდეში, რაც ხელნაწერთა დაცვის საუკეთესო საშუალებას იძლევა. ჩვენთანაც იყო მცდელობა, რომ კლდეანი ადგილი მოეძებნათ, სადაც გამოკვეთავდნენ საცავებს, მაგრამ ძიების პროცესი ძალიან გაინეწა, ამასობაში საბჭოთა კავშირი დაინგრა. შემდგომ წლებში გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, ამ საკითხზე ზრუნვა ისევ დაიწყო, მაგრამ ისევ უშედეგოდ და საკითხი

დღემდე ღიად რჩება. შენობის ადგილის შერჩევისას სამი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული: საცავების პრობლემა, ანუ მოიძებნოს შესაბამისი ადგილი საცავებისათვის; შენობა უნდა იყოს კარგად მისაღებოდაც, რომ განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან დანესტრებებში იმყოფები. ახალ შენობაზე ფიქრი, დღესაც გრძელდება...

– დაუბრუნდეთ ისევ სიმპოზიუმს...

– სექციები იმდენად დატვირთული იყო მოხსენებებით, რომ საჭირო გახდა, ორ-ორ სექციას პარალელურად ემუშავა. ორივე სექციაში საინტერესო მოხსენებები იყო და არჩევანის გაკეთება, რომელი მოგვესმინა, გვიჭირდა. ასეთი მასშტაბური სიმპოზიუმის ფარგლებში, ყოველთვის მიზანშეწონილია, წმინდა სამეცნიერო სექციების მუშაობის გარდა, იყოს ცალკეული კომპონენტები – მრავალფეროვნებისთვის, მასალის მეტად პოპულარიზებისთვის, საზოგადოებასთან სიახლოვისთვის. სწორედ ამ მიზნით, ჩატარდა ორი გამოფენა: ერთი პარლამენტის შენობაში – „ქართული ხელნაწერი“, ცხადია, ორიგინალების გამოფენა ვერ მოხერხდა, მაგრამ სასტენდო გამოფენა მოეწყო. წარმოდგენილი იყო ქართული ხელნაწერთა დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები, შესაბამისი ილუსტრაციებით. ეს პროექტი საგანმანათლებლო მიზნებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე გამოფენა – სახელწოდებით „ხელნაწერი წიგნის კულტურა“, თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შენობაში მოეწყო. წარმოდგენილი იყო ჩვენი კოლექციის არა მარტო ქართული ნიმუშები, არამედ უცხოეთიდან ხელნაწერებიც, რადგან ჩვენ ორივე თანაბრად ვვამაყება. ჩვენთანაა დაცული: არაბული, სპარსული, ბერძნული, თურქული, სირიული, ეთიოპური, ებრაული, ევროპული ენების – გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური და სხვა ხელნაწერები. ამ გამოფენის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ჩვენი კოლექციის მრავალფეროვნების ჩვენება; მეორე მხრივ, ამ კულტურის ერთიანობა. ამ გამოფენით, მკვლევარი კი არა, უბრალოდ დამთავლიერებელიც დარწმუნდებოდა რომ ხელნაწერი კულტურა ერთიანი კულტურაა, რომელიც ურთიერთზემოქმედებს ერთმანეთზე. ბევრი უცხოური ნიმუში იყო წარმოდგენილი, რომელიც ძალიან ახლოს დგას ჩვენს კულტურ-

რასთან და პირიქით, ქართული კულტურის ნიმუშები, რომელიც დასავლურ თუ აღმოსავლურ ხელნაწერებთან ავლებს პარალელს.

– სიმპოზიუმის ფარგლებში, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა პირველი ფაქსიმილური გამოცემის უნიკალური ნიმუში – „ლაილაშის ბიბლია“ წარმოადგინა...

– „ლაილაშის ბიბლიის“ ფაქსიმილური გამოცემა სიმპოზიუმის ერთ-ერთი კომპონენტი იყო. „ლაილაშის ბიბლია“ ჩვენი კოლექციის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, ებრაული ხელნაწერია, ძველი აღთქმის ნაწილი, მოსეს ხუთწიგნეული, სწორედ ამიტომ ეწოდება ბიბლია. ხელნაწერი X საუკუნეშია შესრულებული ებრაულად. თუმცა, სამეცნიერო ნრეებში ჯერჯერობით, კარგად არ არის შესწავლილი. ფონდ „გეოსკრიპტის“ მხარდაჭერით, მოვაზადეთ „ლაილაშის ბიბლიის“ ფაქსიმილური გამოცემა. ამ გამოცემის სახით, პრაქტიკულად, უზუსტესი ასლი კეთდება. დაიბეჭდა სასიგნალო ეგზემპლარი, რომლის პრეზენტაცია სიმპოზიუმის დახურვის დღეს მოეწყო. გამოცემა რამდენიმე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი: პირველი – უნიკალური და შეუსწავლელი ხელნაწერის გამოცემა მომავალში გააადვილებს მის კვლევას და მოახდენს მისი შესწავლის სტიმულირებას; მეორე – ეს ფაქსიმილური ხელნაწერის პირველი ფაქსიმილური გამოცემა საქართველოში და საგამომცემლო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია; გარდა ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საეტაპო მნიშვნელობის გამოცემა ქართულ საგამომცემლო ისტორიაში; მეოთხე – ერთგვარი ეტალონი და მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მომავალში ანალოგიური პროექტები სხვადასხვა ხელნაწერების ბაზაზე. ჩვენ არაჩვეულებრივი ქართული ხელნაწერები გვაქვს, უზადა ილუსტრირებული, განსაკუთრებული მხატვრული თუ ისტორიული მნიშვნელობისა. ვისაც მგავსი გამოცემის შექმნის სურვილი და შესაძლებლობა ექნება, მართლაც არაჩვეულებრივი საკოლექციო ნიმუში და საჩუქარი იქნება – თუნდაც, გელათის სახარება, ჯრუჭის სახარება, რომლის ყოველი გვერდი, ფაქტობრივად, მართლაც შედეგია. მომავალში, ბუნებრივად, ვგეგმავთ ფაქსიმილურ გამოცემებს, ესეც სტიმული იქნება ჩვენი პოტენციური დონორებისთვის და, ასევე, ადვილად საჩვენებელი მაგალითი, რა პროდუქტი შეიძლება გქონდეს ხელთ სხვა გამოცემებით დაინტერესების შემთხვევაში.

– რა პრინციპით შეირჩა პირველი ფაქსიმილური გამოცემა „ლაილაშის ბიბლია“? და რა ღირებულების პროექტია?

– სასიგნალო ეგზემპლარის თვითღირებულება 1000 ევროა. რასაკვირველია, ტირაჟირების შემთხვევაში ღირებულება შემცირდება.

„ლაილაშის ბიბლია“ ინახებოდა ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში, სადაც ებრაული დასახლება იყო, ბიბლია ქართველებისთვისაც და ებრაელებისთვისაც წმინდა წიგნიად მიიჩნეოდა. ბუნებრივად, რადგან ხელნაწერი საქართველოში ინახება, მისი წარსული, გარკვეულწილად, ჩვენს ქვეყანას უკავშირდება.

საერთოდ, ფაქსიმილური გამოცემის იდეა დიდი ხანია გაჩნდა, ეს თაობების ოცნება იყო. როცა ხელნაწერთა ცენტრში მოვედი, დამხვდა ეს ოცნება. როგორც ცნობილია მცდელობებიც იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. როცა საგამომცემლო პროექტის გეგმა შევადგინეთ, ფაქსიმილური გამოცემებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი ჩამოვწერეთ, მათ შორის ქართული ხელნაწერებიც: გელათის სახარება, ჯრუჭის სახარება, მოქვის სახარება, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია. თითოეული ხელის შეხება და გადაფურცვლა კი დაზიანებას იწვევს. 1300 წლით დათარიღებული, ამ არაჩვეულებრივი მხატვრობით გამოჩეული სახარების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან მოქვში, აფხაზეთშია დანერგილი. ფაქსიმილური გამოცემა, ფაქტობრივად, ამ ხელნაწერს განადგურებისგან გადაარჩენს. მართალია, რესტავრაცია მისი გადარჩენის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ დიგიტალიზაცია და ფაქსიმილური გამოცემა გადარჩენის დამხმარე საშუალებებად შეიძლება ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ხელნაწერის მდგომარეობა უარესდება და დღევანდელი მდგომარეობის დაფიქსირებასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ფაქსიმილური გამოცემის ნუსხიდან, ჩვენი დონორის ყურადღება „ლაილაშის ბიბლიაზე“ შეჩერდა და, მხოლოდ და მხოლოდ ამ კრიტერიუმით შეირჩა მისი გამოცემა. ასეთივე სიხარულით მივიღებთ სხვა ფაქსიმილური გამოცემების შემოთავაზებებსაც.

– სიმპოზიუმისთვის, აგრეთვე, გამოცემით ქართული ხელნაწერის ალბომი...

– სიმპოზიუმის ფარგლებში გამოცემა მოხენებათა თეზისები როგორც ქართულ, ისე ინლისურ ენაზე. გამოცემა, ასევე, ჩვენი ტრადიციული სამეცნიერო კრებული „მრავალთავი“ და სამი ალბომი – ერთი ჩვენი ცენტრის დაფინანსებით, ორი – მერიის. ეს ალბომებია: „ძველი საქართველო“, რომელიც ჩვენს კოლექციამ დაიწყო XIX და

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს უნიკალური ფოტოები შევიდა; „ქართული ხელნაწერი“ და „დღისმშობლის ციკლი ქართულ მინიატურაში“. ეს ალბომები საუკეთესო საპრეზენტაციო საშუალებებია იმისთვის, რომ ჩვენი კოლექციის უზარმაზარი პოტენციალი ამ კუთხითაც კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს.

სიმპოზიუმის ცენტრის 50 წლის იუბილეს დაუკავშირეთ – 2008-2009 წლები საიუბილეო წლად გამოაცხადებთ. საიუბილეო ღონისძიებებიდან ეს სიმპოზიუმის ყველაზე მასშტაბურიც იყო და დამაგვირგვინებელიც. მას, გამოკვეთილად, რამდენიმე მიზანი ჰქონდა: მათ შორის ძირითადი იყო 50-წლიანი პერიოდის შეჯამება, დღევანდელი მდგომარეობის წარმოჩენა, სამომავლო კვლევების ინიცირება; ასევე, ჩვენი ცენტრის პოპულარიზება და საზოგადოებასთან კიდევ უფრო დაახლოება. შემოიღია გითხრათ, რომ ეს მიზნებიც მიღწეულია. და რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა სიმპოზიუმის ტრადიციას. ის, სამ წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

– საინტერესოა, რა ურთიერთობა აქვს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მომავალ კოლექციასთან, რა დონით ან რა კუთხით არიან ჩართული სტუდენტები თუნდაც ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებში?

– სიმპოზიუმის გახსნაზე საგანაგებოდ აღვნიშნე სტუდენტების მხარდაჭერა, მათი დიდი ნაწილი ჩემი სტუდენტებიც არიან. ძალიან კარგი თაობაა, გონიერი და დაინტერესებული ახალგაზრდები. ძირითადად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, მათი ნაწილი, უბრალოდ, ჩვენს ცენტრთან მეგობრობს, ნაწილი კი პრაქტიკას გადის. ისინი, ფაქტობრივად, სიმპოზიუმის ყველა რგოლში მონაწილეობდნენ, ჩართულნი იყვნენ მზადების პროგრესშიც და უშუალოდ სიმპოზიუმის მსვლელობაშიც. ჩვენ ავირჩიეთ ასეთი პოლიტიკა: ცხადია, უცხოელ სტუმრებს ვერ გავუკვირებდით ჩვენი ინფრასტრუქტურით, მაგრამ ამის კომპენსირება, რაც შეიძლება კარგად ორგანიზებული ღონისძიებებით გვინდოდა. ვფიქრობ, გამოგვივიდა. ამაში ლომის წილი სტუდენტებს მიუძღვით. მათი ჩაბმა ამ საქმეში ნებაყოფლობითი იყო. ახალგაზრდებს, თვალნათლივ შეეძლოთ დაეინახათ, თუ ამ გზას დადგებიან, როგორი შეიძლება იყოს მათი ზვანდელი დღე, როგორი საჭირო, პრაქტიკული და პერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს მათი პროფესია, ან თუნდაც, როგორ შეიძლება გრავითარდეს უცხოეთთან მათი პროფესიული ურთიერთობები. სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, როგორი აუცილებელია აქტიური პოლიტიკის განხორციელება სტუდენტებთან, პრაქტიკანტებთან. მზად ვართ, თითოეულ რგოლში ჩავაბათთ ათეულობით სტუდენტი, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა. ჩვენთვის ეს დიდი დახმარებაა. ერთი მხრივ, პროექტების განხორციელებისას, რასაც მხოლოდ ჩვენი რესურსებით ვერ ავუღივართ, და მეორე მხრივ – საზოგადოებასთან დაახლოების საუკეთესო საშუალება; ჩვენი მომავალი კოლექციის, თანამშრომლების გაზრდის საშუალება; ეს სტუდენტებისათვის საუკეთესო პრაქტიკაა, რომელსაც განსაკუთრებული სიბიძე აქვს: ჩვენ საოცრად გახსნილები ვართ მათ მიმართ და ერთმანეთთან არაჩვეულებრივი პიროვნული ურთიერთობები გვაკავშირებს; უშუალო შეხების საშუალება აქვთ მასალასთან, რაც მათ სტიმულირებს ახდენს და მესამე – დამსახურებული და კვალიფიციური სპეციალისტების საშუალება აქვთ. ეს ორმხივად სასარგებლო ურთიერთობაა.



ესაუბრა ლალი ჯელაძე

ყოველი დღე – „საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი“

პირველი გვერდიდან

ლიზიკო ქავთარაძე: „ბოლო არ უჩანს ბლავის და ცეცხლის სეტყვას. ნადირებმა აინყვიტეს, სხეული ერთ მთლიან ტკივილად იქცა. დაბეგვილი ძვლების სიმწარე, დაჩენილი ხორცის მდუმარება... გავარჯვარებულ თონუმი ვინ ვი... რაფავა სკამზე ზის, როგორც ამნეზე და იქიდან აწყობს კადრებს“.

გამოფენაზე წარმოდგენილ პოლიტიკტიმარ ქალთა ფოტოებს თან ახლდა მოკლე მინანური, მათი დაპატიმრების და ბრალდების შესახებ. გათავაზობთ რამდენიმე მათგანს.

ოლღა გომართელი-სვანიშვილი, დაბადებული ქუთაისში. ცხოვრობდა თბილისში, კამოს №57. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „სამეულის“ სხდომის 05.05.37 წლის დადგენილებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელი-სუფლების დასამზობად), 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელი-სუფლების დასამზობად) მუხლებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

სათუნა ჭიჭინაძე, მსახიობი-დაპატიმრეს 02.07.37 წელს. საქართველოს სსრ შინაგანსაქმეთა სახალხო კომისარიატის შინსახკომის



ველოს უფროსი. ცხოვრობდა მოსკოვში. დაპატიმრეს 28.06.37 წელს. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 17. 03. 37 წლის დადგენილებით, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელი-სუფლების დასამზობად), 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელი-სუფლების დასამზობად) მუხლებით მიესაჯა დახვრეტა. დახვრეტა სანქცირებულია სტალინის მიერ, 10.08. 37 წელს. სისრულეში იქნა მოყვანილი 17.09.37 წელს.

უღლები იყვნენ. იშვიათი გამო-ნაილისების გარდა, რომლებსაც შესაძლოა პოლიტიკური ინტერესები ჰქონოდათ. სამხუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გამოფენისთვის ძალიან მწირი ინფორმაცია შეგროვდა. დღემდე რთულია მასალების მოპოვება იმ ავბედითი წლების შესახებ. სამხუხაროა, რომ დღევანდელმა ახალგაზრდებმა არ იციან ამ ადამიანების შესახებ, რომლებიც კომუნისტურ წყობას შეენიშნენ. ალბათ, ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ კომუნისტურ სისტემას, თავის დროზე, 20 მილიონი ადამიანი შეეწირა. მათ შორის, 1 მილიონი ადამიანი ერთ წელიწადში დახვრიტეს. ჩვენმა ერმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. მომავალ თაობებში მათი ხსოვნა უკვდავყოფილი უნდა იყოს. ამ ადამიანების სახელების მიმართ მეტი მონივნება, დაფასება გვმართებს. სულ ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, ერთხელ მოხდა და აღარ განმეორდება. არა, ეს მოხდა ყოველთვის, სანამ არ დაეფასებოდა უდანაშაულო ადამიანებს. დიდი მადლობა გამოფენის ორგანიზატორებს, ვინც ინახავს ამ ადამიანების ხსოვნას, მათდამი სიყვარულს და პატივისცემას, გადასცემს მომავალ თაობებს, პატივს მიაგებს იმ ადამიანებს, რომლებიც მსხვერპლად შეენიშნენ საქართველოს. რომ არა ისინი, ჩვენი ქვეყანა ისეთივე კი არ იქნებოდა, როგორც დღეს არის“.



„სამეულის“ 03 03 38 წლის სხდომის დადგენილებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 59-7 (კონტრრევოლუციური მიზნით ძირის გამოთხრა, 58-8 (ტერორისტობა) და 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამზობად) მუხლებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა ქონების კონფისკაციით, რაც მოყვანილი იქნა სისრულეში 04.03.38 წელს. მეუღლე – გიორგი ყურულაშვილი დაპატიმრეს და 09.07. 37 წელს მიუსაჯეს დახვრეტა.

ოლღა ოკუჯავა, დაბადებული ქუთაისში, ცხოვრობდა თბილისში. გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე. პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრებული იყო, ჯერ კიდევ, 1928 წელს. გადასახლებიდან დაბრუნდა 1930 წელს, ხელმოკრედ დაპატიმრეს 11.11. 36 წელს. 01.10.37 წელს გაასამართლა სსრკ უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ. თავის გამსვლელ დახურულ სხდომაზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (პროპაგანდა ან აგიტაცია ხელისუფლების დასამზობად), 58-11 (საორგანიზაციო მოქმედება ხელისუფლების დასამზობად) მუხლებით და მიუსაჯა 10 წელი, სასჯელს იხდიდა ქალაქ ორიოლში. 1941 წლის 11 სექტემბერს, მედვედევოს ტყეში, ქალაქ ორიოლიდან 10 კილომეტრის დაშორებით, დახვრიტეს 157 პოლიტიკტიმარი, მათ შორის ოლღა ოკუჯავა.

მარიამ ორახელაშვილი, პედაგოგი, უმაღლესი სკოლის სამმართველო

გურამ სოსელია, „მემორიალის“ თავმჯდომარე: დღევანდელი ფოტოგამოფენის მიზანი საზოგადოებას გავაცნოთ ის ადამიანები, ვისი ბედიც უსამართლობის სიმბოლო გახდა. გვინდა პატივი მივავითოთ მათ ერთგულებას ოჯახისადმი, შვილებისადმი, მშობლიური მიწისადმი, მათ სიყვარულსა და მოთმინებას პატიმრობისა და გადასახლების უმძიმესი წლების მანძილზე, იმ წლებისა, რომელთა ყოველი დღე იყო „საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი“. ისინი ნამდვილად იმსახურებენ ხსოვნის მარადისობას. საგამოფენო მასალებს ორი წელი ვგროვებდით. ბოლშევიკები რომ მოვიდნენ, გაგონება არ სურდათ წარსულის. დასცინოდნენ სამღვდლოებს, მშობლებს, ბაბუებს... ეს შეცდომები მომავალმა თაობებმა არ უნდა გაიმეორონ. წარსულის ხსოვნა, წინაპართა დაფასება, ფუძეების ძებნა ადამიანის ზნეობრივად ამაღლებს. დღევანდელი გამოფენით შევეცადეთ, ჩვენი მამულიშვილები კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა საზოგადოებისთვის – პატივითი ქალები, რომლებსაც უყვარდათ სამშობლო და სწორედ ამის გამო დაიასჯენ. ჩვენ მიერ მოძიებული სია 2500 ქალს ითვლის, ფოტომასალა კ, მხოლოდ და მხოლოდ 115 ქალის მოვიპოვეთ“.

ლევან ბერძენიშვილი: „პოლიტიკტიმარი ქალები საოცარი სიმტკიცით გამოირჩეოდნენ. ეს ადამიანები აბსოლუტურად უდანაშაულოდ დაისაჯნენ. მათი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ისინი კარგი მე-

ნულზე დაყვანილი მორალური მხარდაჭერა. რეპრესირებულთა უკვდავსაყოფად, მთანმინდის კალთაზე, უნდა დადგმოლიყო ძეგლი, მაგრამ ამისთვის თანხები არ გამოიძებნა. დღევანდელი გამოფენის მიზანი და მნიშვნელობა ის არის, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ადამიანები, რომლებიც დაიღუპნენ გარკვეული რწმენის და შეხედულებისათვის. კარგი იქნება თუ ახალგაზრდები დაინტერესდებიან და გაცნობიან მასალებს ამ ადამიანების შესახებ, აუცილებელია მოსწავლეებმა იცოდნენ საშინელი 30-იანი წლების შესახებ“.

პირიმზე ბელთაძე, საზოგადოების „ავგისტო 1924“ პრეზიდენტი: „პატარა ვიყავი, როცა დედ-მამა გადაასახლეს. არც ერთი არ მახსოვს. შემომჩა მხოლოდ ერთადერთი სურათი წარწერით: „ძვირფას მამიკოს, გაუცნობელი ქალიშვილისაგან“... სამხუხაროდ, მე და ჩემი მამიკო ერთმანეთისთვის უცნობებად დავრჩით. მშობლები გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულან... ჩემი ძმაც რეპრესირებული იყო. ქართველებს იმისთვის კლავდნენ, რომ საქართველო უყვარდათ. მიუხედავად ამისა, საქართველო იყო ერთადერთი რესპუბლიკა, რომელიც წინ აღუდგა 1921 წლის აგრესიას“.

რევაზ კვერენხილაძე, ლიტერატორი: „გამოფენაზე მხოლოდ ერთი ნაწილია წარმოდგენილი იმ ქალებისა, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ. მათ შესახებ მასალების მოძიება ძალზე ძნელია, უკვე თაობები წავიდნენ... „მემორიალმა“ დიდი შრომა განიხილა, რომ ეს გამოფენა მოეწყო. საზოგადოებას, აუცილებელია, შევასხენოთ ის საშინელება, რაც კომუნისტურმა რეჟიმმა მოიტანა. მეც რეპრესირებული ოჯახიდან ვარ, მამა დახვრიტეს, დედა რვა წლით გადაასახლეს. სტალინმა და ბერიამ განსხვავებული აზრისთვის განწირა ხალხი. ბერიას სახელს ქუჩებს არქმევენ. ეს, დანაშაულია! ცოტა ხნის წინ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აჩვენა თორმეტსერიანი ფილმი „1937 წელი“, სადაც ბუდუ მდივანს 12 სერიიდან ხუთი სერია



აქვს დათმობილი. ადამიანური თვალსაზრისით ბუდუ მდივანი ძალზედ უბედური იყო, მაგრამ რას ფიქრობდა, საქართველოში რომ შემოიპყვავდა რუსეთის ჯარი? ბოლო სერიაში მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის გვერდით აჩვენეს ჯალათი აბაშიძის ფოტო, რომელსაც ასეთი კომენტარი გასდევდა: „სამხუხაროა, რომ ესეც მიხეილ ჯავახიშვილს შეენიშნა“, რას ნიშნავს შეენიშნა? რა თქმა უნდა, აბაშიძეც ცოლდა იყო, ადამიანური თვალსაზრისით, მაგრამ მას უნდა სცოდნოდა, თავად თუ არა, მის შთამომავლობას მოეკითხებოდა მისი ცოდვები. შინსახკომის საბუთებში, აბაშიძის ჩანაწერებში, ასეთი რამ წერია: „პირველ დაკითხვა-

ზე ჯავახიშვილს ისეთი ვხეიქე საფეთქელში, რომ მაგიდის ქვეშ შევაგორე. გონება დაკარგა, ბერია იცინოდა, როდესაც წყალი ასხურეს და გონს მოიყვანეს, ბაღრო ქობულაძემ მითხრა: მეტი საფეთქელში აღარ დაარტყაო“.

საზოგადოება „მემორიალი“ 17 წელია არსებობს, მისთვის არც ერთმა ხელისუფლებამ არ გაიმეტა ერთი ოთახიკი. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, საზოგადოება ძალიან ბევრს მუშაობს, დღევანდელი გამოფენაც სწორედ ამ მუშაობის შედეგია. დღევანდელი გამოფენა ამოცანებიდან უმთავრესი ვერ შევასრულეთ, გვიწოდდა დაგვეარსებინა საბჭოური რეპრესიების ამსახველი მუზეუმი. შედგენილი გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გაკეთებულიყო მემორიალური კომპლექსი, რომელიც გააერთიანებდა მუზეუმს. ფონიტალაში ყველა მასობრივი დახვრეტის ადგილის გაკეთილმოძიების პროექტიც გვაქვს შედგენილი, მაგრამ განხორციელება არ ელირსა. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან ეს პროექტი განხორციელდება და ჩვენ, ბედით განამებულ მშობლებს დაუბრუნდებათ ის სამართალი, რომელსაც თხოულობენ. დღევანდელი გამოფენა ჩვენ მიერ ჩაიქრებული გამოფენების სერიის ნაწილია, რომელიც მიძღვნილი უნდა ყოფილიყო 1937 წლის 70 წლისთავისადმი. პირველი ნაწილი ამ გამოფენებისა, ორი წლის წინ, მართვის ინსტიტუტში მოეწყო, სახელწოდებით – „20-იანი წლების რეპრესიები“. სამომავლოდ გვინდა გავაქეთოთ გამოფენა, რომელიც მთლიანად 1937 წელს მოიცავს. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია

ილაშა მინიშვილი, საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე: „გამოფენის შესახებ, საზოგადოებას ძალიან დიდი გვემები გვექონდა, ჩვენდა გასაოცრად, საზოგადოებაც და სახელმწიფოც გულგრილი აღმოჩნდა ამ საქმის მიმართ. ჩვენი ამოცანებიდან უმთავრესი ვერ შევასრულეთ, გვიწოდდა დაგვეარსებინა საბჭოური რეპრესიების ამსახველი მუზეუმი. შედგენილი გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გაკეთებულიყო მემორიალური კომპლექსი, რომელიც გააერთიანებდა მუზეუმს. ფონიტალაში ყველა მასობრივი დახვრეტის ადგილის გაკეთილმოძიების პროექტიც გვაქვს შედგენილი, მაგრამ განხორციელება არ ელირსა. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან ეს პროექტი განხორციელდება და ჩვენ, ბედით განამებულ მშობლებს დაუბრუნდებათ ის სამართალი, რომელსაც თხოულობენ. დღევანდელი გამოფენა ჩვენ მიერ ჩაიქრებული გამოფენების სერიის ნაწილია, რომელიც მიძღვნილი უნდა ყოფილიყო 1937 წლის 70 წლისთავისადმი. პირველი ნაწილი ამ გამოფენებისა, ორი წლის წინ, მართვის ინსტიტუტში მოეწყო, სახელწოდებით – „20-იანი წლების რეპრესიები“. სამომავლოდ გვინდა გავაქეთოთ გამოფენა, რომელიც მთლიანად 1937 წელს მოიცავს. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილია

„ნარსულით დაფარილი ანწყობი“

2009 წლის 3 ივლისიდან 7 ივლისის ჩათვლით თბილისის 178-ე საჯარო სკოლის (დირექტორი მანანა სამხარაძე) 30 მოსწავლე, მასწავლებლებთან ერთად, კავთისხევს სტუმრობდა. ეს იყო საინტერესოდ დაგეგმილი ექსპედიცია, რომელიც ამ მხარის გაცნობა-შესწავლას ისახავდა მიზნად.

ციცინო ჯაბახიძე, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი: დღეები მირბიან, წლები წლებს მისდევენ, საუკუნეები იმარცვლებიან, მაგრამ ის, რაც ჩვენს წინაპრებს ჩვენთვის შეუქმნია, რასაც მათი სულის ბეჭედი აზის, დღესაც ცოცხლობს, ცოცხლობს ვიზუალურად, ცოცხლობს უხილავად. შორიდან გვეფერებოდა ჩვენი წინაპრების სულები, მოდიო, ხელი შეახეთ, დავინყებების მტვერი გადაცალათ, ჩვენს სულში ჩაიხედეთ და მიხვდებით, შეიგრძნობთ, იამაყებთ ქართველებით.

ჩვენი პროექტის მიზანიც ეს იყო – ნარსულით დაფარილი ანწყობი ჩვენი წინაპრების ამ ფერადი გამოსახულებისათვის მონივრებით ხელი შევუხვეთ, გამოვგვეკვლია, რით სუნთქავდნენ, რა ანუხებდათ, რა უხაროდათ, რა აღაფრთოვანებდათ. კავთისხევი შემთხვევით არ ავირჩიეთ. ჩვენი წინაპრების ნიჭმა უხვად დაგვასაჩუქრა ტაძრებითა და მონასტრებით, უხვად გვაჩუქა ღირსეული წინაპრები, რომელთა ნააზრევი დღესაც კვებავს ქართველობის სულიერებას. დიდი დიდაქტიკოსი გურამიშვილიც ხომ შეგავგონებდა: „მოსწავლე უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსული, სად არის, მივა სადაო“. ამ კუთხემ გაზარდა დიდი მკვლევარი ფოლკლორისტი ვახუშტი კოტეტიშვილი, ამ კუთხემ გაზარდა სახელოვანი მწერალი გიორგი შატერაშვილი, ამ კუთხეში გაიზარდა ომარ კელაპატრიშვილი, სალამურზე დაკვრის დიდოსტატი. ჩვენც მათი კვალს გვიწინა მივსდით, მათი შრომები გვასწავლიან, როგორ შევაჩეროთ წამი, როგორ აღვწეროთ დღევანდელი, მომავალში სხვა თაობათა ანწყობი რომ დაფერავს...

მანანა სამხარაძე, სკოლის დირექტორი: პროექტის იდეის ავტორია ქალბატონი **ციცინო ჯაბახიძე**, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი. ეს მისი მუშაობის სტილია – ყოველ ზაფხულს მოსწავლეებს დაავალბდა ადგილზე გაცნობიდან იმ სოფელს, სადაც დაისვენებდნენ. პროექტი „ნარსულით დაფარილი ანწყობი“ **ეკა შემაბერიძის** ნაშრომზე დაყრდნობით აიკინძა. შედგა გუნდი (მასწავლებლები **ციცინო ჯაბახიძე**, **ირმა კელაპატრიშვილი**, **დარეჯან გეგმიძე**). გამარჯვების სიხარული კი მაშინ გაცნობდა, როცა ჩვენ ქვეყანას ყველაზე ძალიან უჭირდა – სკოლა ლტოლვილებით იყო სავსე, როცა კარვებით დატვირთული მანქანა მოგვადგა. ეს დიდი სიხარული იყო. დიან, ეს ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოში ომია, მაგრამ განათლების სამინისტროს არ ავიწყდება განულები შრომა დაუფასოს სკოლა.

ირმა კელაპატრიშვილი, ხელოვნების მასწავლებელი: „ნარსულით დაფარილი ანწყობი“ გამარჯვებული პროექტია, ჯილდო კი – კარვები, საძილე ტომრები, ზურგჩანთები 30 მოსწავლისათვის. პროექტი რომ აგვემუშავებინა, ერთი რამ იყო საჭირო – მშვიდობა, სამწუხაროდ, პროექტის განხორციელებას რუსეთ-საქართველოს ომმა შეუშალა ხელი. ნელს კი საინტერესო, შთაბეჭდილებებით აღსავსე ხუთი დღე გავატარეთ კავთისხევიში.

ნანა მოსეშვილი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელით დარგში: ქალბატონი მანანა მესამე წელია, რაც ჩვენი სკოლის დირექტორია. ენერგიული, მონდომებული, მიზანდასრულებული ადამიანია. ვადაძეობა მისი ენერჯია, მის გვერდით მდგომი სკოლის კოლექტივი ერთ ადგილზე ვერ გაჩერდება, სულ



მოდრობაშია, სულ სიახლის ძიებაშია. კარგია, როცა თანამოაზრეები იკრიბებიან, კარგია, როცა მიზნის მისაღწევად ერთად იღვნიან, კარგია, როცა ერთად ფიქრობენ მომავალი თაობის აღზრდაზე, პროექტი სახელწოდებით „ნარსულით დაფარილი ანწყობი“ რომ რეალობად ქცეულიყო, მისი ძალიანმევა აუცილებელზე აუცილებელი გახდა.

მანანა სამხარაძე, სკოლის დირექტორი: ტურიზმი ჩემი სტილია იყო ყოველთვის, სავლელ ცხოვრება, ლაშქრობები ჩემთვის უცხო ხილი არ არის, ასეთი ცხოვრება ბევრ მეგობარს გემს, ერთმანეთზე ზრუნვას, ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლის, ასეთი ცხოვრება სამშობლოს შევადგინებინებს, ასეთი ცხოვრება წინაპართა ნაკვალევზე გატარებს და მათთან კავშირს ალადაგენს, საბოლოო ჯამში შენი სამშობლოს მცოდნედ გაქცევს, დაბოლოს, ადამიანად გაყალიბებს, ამიტომაც, როცა პროექტის გამარჯვებამ ასეთი საჩუქარი მოგვიტანა, უნდა გამოვეყენებინა ეს შესაძლებლობა და ჩემი მოსწავლეებისთვის გამეცნო ნარსულით დაფარილი ანწყობი, რომ არა მერისი ახალგაზრდული დეპარტამენტის გულისხმიერება, პროექტის განხორციელება გაგვიჭირდებოდა.

მზია კელაპატრიშვილი, მუსიკის მასწავლებელი: მე კავთისხეველი ვარ. როცა ექსპედიციის საკითხი გადაწყდა, სიამაყით ავივსე, ნასვლას არაფერი ედგა წინ, მაგრამ მასპინძელი სჭირდებოდა სკოლას. როცა ჩვენი პროექტის შესახებ სოფელ თვალადის სკოლის დირექტორს ქალბატონ **ნატო ცალქელაშვილს** ვუთხარი, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, თანხმობა განაცხადა და დიდებული მასპინძლობაც გავგინია. მისი გულისხმიერების, პედგოგობისა და მოსწავლეების გარეშე, მერმუნეთ, პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

ეკა შემაბერიძე, VIII კლასის მოსწავლე: 3 ივლისი ჩემთვის ორმაგად მღელვარე დღე იყო, მღელვარე და სასიხარულო, ჩემი თანასკოლეები და მასწავლებლები თვალადში მიმყავდა. ჰოდა, როგორც მასპინძელი, ვლელავდი.

ნანა მოსეშვილი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელით დარგში: 3 ივლისი, სკოლის ეზო კავთისხევიში წამსვლელთა ყრამულმა აახმაურა. მშობლები ბუნებრივად, ოდნავ ლელავდნენ. ასეთ ექსპედიციაში პირველად უშვებდნენ შეილებს. მასწავლებელთა სიმშვიდე

კი იმედით ავსებდა. ავტობუსი დაიძრა, სოფელ თვალადის სკოლა ელოდა ექსპედიციის მონაწილეებს.

ციცინო ჯაბახიძე, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი: სკოლის შენობა ძველია, მაგრამ, რაც პირველი შეამჩნიეს ბავშვებმა, ეს იყო ნარწერა: სახლი – ნიკო ცხვედაძეს ეკუთვნოდა, შემდეგ კი თვალადის მოსწავლეებს გადასცა სკოლისათვის. აქ ამ სახლში ნიკო ცხვედაძეს სტუმრობისას დაუწერია იაკობ გოგებაშვილს „იავანამ არ აქმნა?!“ დასაწყისი კარგი იყო. ბავშვების ინტერესი ღვივებოდა...

ლალი ძაგანია, X კლასის მოსწავლე: პირველი კურიოზი სოფელში ჩასვლისთანავე აღმოვაჩინეთ. 10 კარვებიანი შვიდი თბილისი დაგვრჩა. მაგრამ ამაზე უფროსები შემოვიდნენ, ჩვენ კი – არა. ჩვენმა დირექტორმა მალევე მოავარა ყოველივე. საღამოს კარვები ჩამოიტანეს. საინტერესო იყო კარვების გამაღის პროცესი, შემდეგ კი თვალადის დასათვალისწინებლად ნავედით. ემოციებს ვერ ვმაღავდით. წინ 5 საინტერესო დღე გველოდა. ჩვენმა მასწავლებლებმა ემოციური დღე შინაარსიანად დაგვიტვირთეს.

თინათინ ოდილაძე, IX კლასის მოსწავლე: ამოდ გვთხოვდნენ მასწავლებლები, დაგვეძინა. ემოციებისგან ძილი არ გვეკარებოდა. ღამის ორი საათი იყო, რომ ცეკვის ხასიათზე მოვედით. ალბათ, იმ იმედით, რომ ცეკვა დაგვლიდა და დავიძინებდით, ამ „სიციფის“ ნება დავკრთეს. ვიცეკვეთ, მერე კარვებში შევქვედით და, როგორც ციცილო მასწავლებლები ამბობს, ფუტკრის სკეპით ზუზუნებდა დილაშდე კარვები. დილის ხუთ საათზე თოკის სიმღერამ გავგაღვიძა.

ნათია კეკელიძე, X კლასის მოსწავლე: დღეები ნოსტში მივდივართ. დიდი მოურავის კოშკი უნდა ვნახოთ. იქამდე დიდი დე გრძელი გზაა. ჯერ ძლივის ქედს ვწვებით. ირმა მასწავლებელი საინტერესო ამბებს გვიყვება. ჩვენც ვინერთ, არ გვაგინყვება ჩვენი მისია, მარტო ვასართობად ხომ არ ვართ მოსული. ციცილო მასწავლებელს ხომ არ დავაღალატებთ. ის დავალებას აუცილებლად მოგვთხოვს. სურათები ვადავლავთ, თამარისა და დავით კოსლანის ტახტებიც ვნახეთ, აქედან ვადაპყურებდნენ ბრძოლის ველს, მერე სააკაძის კოშკს ვესტუმრეთ.

ზაფხულის მზიანმა დღემ, გრძელმა გზამ მოგვთვითა, თანაც გვარიანად მოგვეკიდა მზე. სალა-

მოს მდინარე კავთურას ემბაზში „გავინათლეთ“ და წვიმამაც მოგვისწრო. 5 ივლისი ძალზე ნაყოფიერი დღე იყო.

რევა კებაძე, IX კლასის მოსწავლე: დილით კავთისხევის გზას გავყუყუეთ. ის, რაც დღეს პირველი უნდა ვნახოთ, ჩვენ ალრიცხვამდე V საუკუნის აგურის ქარხნის ნანგრევები. ძლივს მივაღწიეთ ამ ადგილამდე. გზა ძალიან დამღლეული, თუმცა, ამავდროულად, ძალიან სახალისო აღმოჩნდა. ნანგრევებმა ყველა ძალიან გაგვაკვირვა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ასეთი ძველი ისტორიული ნაგებობა მენახა.

ყველაზე სასაცილო და სახალისო უკან დასაბრუნებელი გზა იყო... სატვირთო მანქანა მოვებნეთ და სოფელში სატვირთოზე ამხედრებული დავტვირდით.

ბანაკში დაბრუნებამდე წმინდა გიორგის ეკლესიაშიც ვიყავით. ამაზე უდიდესი სიამოვნება მომგვარა, სულიერი განტვირთვა ვიგრძენი.

სალომე მამაგულიშვილი, VIII კლასის მოსწავლე: სოფელ თვალადში არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი ცხოვრობს. იგი ერთადერთი საქართველოში, რომელიც პატარა გარმონით, „ნიკონილით“ უკრავს. გავიცანი ბატონი **ქორო კაციაშვილი** და მისი თბილი ოჯახი. მეტად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. ბევრი სიგელია და ჯილდოები მფლობელია. მან პირველი ადგილი აიღო კასპის რაიონში ხალხური სიმღერების პოპულარის შესრულებაში. არ დაეზარა და გვარგენა თავისი ორდენები. თავის პატარა გარმონზე შეგვისრულა სიმღერები, რამაც დიდი მონონება დაიმსახურა. განსაკუთრებით შაირებით გავაზახალისა.

გიორგი რუსია, IX კლასის მოსწავლე: კავთისხევი ცხოვრობდა სალამურზე დაკვრის დიდოსტატი ომარ კელაპატრიშვილი, ახლა მის სახლ-მუზეუმში მივდივართ. მასპინძლობას მისი ძმა, გერისო კელაპატრიშვილი გავგინყვებს. ეს შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება. ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემში ბატონი გერისოს მიერ თავისი ძმის შესახებ მოთხრობილა ისტორიებმა... ბატონი გერისოს ლექსებმა, მის მიერ მოთხრობილა ამბებმა და განსაკუთრებით კი მისმა სიმღერამ. ვიგრძენი, რა ძლიერ მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა. ერთი სიტყვით, მაგრები ვართ ქართველები. ჩვენ რა, წინაპარი ჩვენი და

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. მაგრები უნდა ვიყოთ.

მარიამ ჭუჭულაშვილი, XII კლასის მოსწავლე: ბატონ გერისოსთან შეხვედრას ულამაზესი დასასრული ჰქონდა. იმ ლექსის (ნ. ჯალაღონია – „ერთად“) მოსმენის შემდეგ, რომელიც გიორგიმ წაიკითხა, ემოციების შეკავება ნამდვილად ვეღარ შევძელით. ყველა ტიროდა, ყველა უკლებლივ, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. რა გვატირებდა? გულის გულში, სულის სულში მდინერებისგან ტიროდა რაღაც და იცრემლებოდა, იცრემლებოდა, იცრემლებოდა...

მარიამ მექვაბიშვილი, X კლასის მოსწავლე: თვალადში გიორგი შატერაშვილის დისშვილს შევხვდით, ბატონ გურამ ალაპიშვილს, გვესაუბრა ამ საინტერესო მწერლის შესახებ. ექსპედიციის წყალობით გავიგე, რომ გიორგი შატერაშვილი „ქართული სიტყვის მცნობელი კაცი“ ყოფილა, ქართული სიტყვის მოამაგე და მოჭირისუფლე. ბატონმა გურამმა ბევრი საინტერესო რამ გვიამბო მწერლის შესახებ. რა თქმა უნდა, არც მისი შედეგები „მკვდრის მზე“ დაინყებია, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, საჯილდოო ქვაც ვანხე. ეს ახლა ნამდვილად საამაყოდ მაქვს.

სატია გოგილაშვილი, X კლასის მოსწავლე: 6 ივლისს ქვთახევს ვესტუმრეთ. ტყე, ალმართი, ხიდი პატარა, ისევე ალმართი, ისევე ტყე, უსრულულებელი გზა და ჩიტების უცნაური ჭიკჭიკი მიგვაცილებს. ამ გრძელმა გზამ ჩვენი ბანაკის ჰიმნი დაბადა, ვიხალისეთ, საინტერესო ყოფილა შექმნის პროცესი. შედეგები ნამდვილად არაა, მაგრამ ჩვენია, ამ გზამ გვიკარნახა, ამ ტყემ გვიკარნახა, ჩიტებმა ჭიკჭიკით ჩამოგვკახეს. მიხარია.

და აი მონასტერიც, დავილაღეთ, მაგრამ აქ, მამათა სავანეში, საოცარი სიმშველე სუფთა და ჩვენც სხვანაირები ვხდებით, გულდასმით ვისმენთ ტაძრის ისტორიას, ვესწრებით პარაკლისს, ვანთებთ სანთლებს.

7 ივლისს დასრულდა ეს ლამაზი დღეები. დაფორდით კვლავ შეხვედრის იმედით.

გიორგი რუსია, IX კლასის მოსწავლე: რა ჩამოვიტანე კავთისხევიდან? საინტერესო მასალა ისტორიული ძეგლების შესახებ. გავიცანი გერისო კელაპატრიშვილი, დიდი თამადა, კარგი ქართველი და კიდევ ჩამოვიტანე სიყვარული, სიყვარული და კიდევ ერთხელ სიყვარული. ვფიქრობ, რომ მასწავლებლებმა გვაჩვენეს და გვასწავლეს, როგორ უნდა ვაფასებდეთ ჩვენს ნარსულს, როგორ უნდა გვიყვარდეს, ვზრუნავდეთ და ვუფროთხილავდეთ ერთმანეთს და ჩვენს სულიერ კულტურას. ჩვენ კავთისხევიში სიყვარულის 5 გაკვეთილი გვექონდა.

6 ნოემბერს კი თბილისის 178-ე საჯარო სკოლა კავთისხეველებს მასპინძლობდა. აჯამებდა ექსპედიციის შედეგებს. თბილი იყო კავთისხეველებთან შეხვედრა. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ვიდუფლოდებით, სლაიდებით და კავთისხევიში ჩანერული მასალებით დღიურების სახით გააცოცხლეს კავთისხევის ექსპედიციის 5 ლამაზი დღე. 178-ე საჯარო სკოლის პროექტი „ნარსულით დაფარილი ანწყობი“ – კავთისხევის ექსპედიცია დადებითად შეაფასეს ომარ კელაპატრიშვილის მეუღლემ **ციმი კელაპატრიშვილმა**, გერისო კელაპატრიშვილმა, ქსელური სკოლების დირექტორებმა. ისან-სამგორის რესურს-ცენტრის უფროსმა **ირინე გოგონაიამ** კი წარმატებული პროექტი უწოდა.

კავთისხევის ექსპედიცია დამთავრდა, რა იქნება მერე? ეს კითხვა დაიბადა. ყველადა აღნიშნა, რომ პროექტი უნდა გაგრძელდეს. ამის რესურსები არსებობს, რადგან არის სურვილი, შესაძლებლობაც გაჩნდება ალბათ.

ღებუტი და პირველი წარმატება დიდ სცენაზე

ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონში, ფარავნის ტბის სანაპიროსთან, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარეობს სოფელი ფოკა. სოფელში, ძირითადად, სომხები ცხოვრობენ. ფოკაში ფუნქციონირებს დედათა და მამათა მონასტრები. ფოკის დედათა მონასტრის დედაბავს ინიციატივით, 2002 წელს, სომეხი ბავშვებისთვის გაიხსნა საკვირაო სკოლა, სადაც ქართულ ენას დღემდე ასწავლის დამსახურებული პედაგოგი **კლარა ფოცხვერაშვილი**, რომელიც ფოკის საჯარო სკოლაშიც ასწავლის, მისი მოსწავლეები, უკვე მეოთხე წელია, ლიტერატურული კონკურსის – „ალუბლობა 2006“, „ალუბლობა 2007“, „ალუბლობა 2008“, – გამარჯვებულები არიან.



ინტერნეტიდან. ამგვარმა მუშაობამ გაამრავალა ფოკის მათი წარმოდგენა ქართულ-სომხური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რაც, ვფიქრობ, დიდად უწყობს ხელს ინტეგრაციის პროცესს.

ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ პედაგოგებს დიდ სტიმულს და შესაძლებლობას გვაძლევს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროექტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი **მარკო ჭლადაშვილი**. პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა კლასგარეშე მუშაობას, შემოქმედებით ღონისძიებებს და.მ. პირადად მე ამგვარ მუშაობას აქამდეც ვეწეოდი, მაგრამ ამჯერად გაორმაგებული შემართებით ვმუშაობთ და ალბათ უახლოეს მომავალში სხვა სპექტაკლსაც შემოგთავაზებთ.

როგორც პედაგოგისა და მოსწავლეთა მონათხრობიდან ჩანს, შემოქმედებითი პროცესი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. როგორცაა, ალბათ, გარკვეულწილად იზრუნეს მათი ზნეობრივ-ეთიკური მხარის განვითარებაზე. ბავშვებმა იცინა, როგორ ისაუბრონ ერთმანეთის წარმატებებზე, რომელი როლი რა კუთხით შეაფასონ... მათთან საუბრისას ვგრძობდი, რომ დღევანდელი აღიარებული წარმატება მომავალ სპექტაკლზე გაორმაგებული მუშაობის სტიმულად იქცევა და რადგან ისინი შემოქმედებითი მუშაობის ტყვეობაში არიან, მომავალ სასცენო სასწავლო უახლოეს მომავალში უნდა ველალო.

ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნინოწმინდის ახალგაზრობის სასახლეში ჯავახებს ქართულ ენაზე აჩვენეს სპექტაკლი „გიქორი“, ჰოვანეს თუმანიანის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. როგორც ქალბატონი კლარა ამბობს, დეკორაციების მოძიებაში ახალციხის თეატრი დაეხმარა, ნაწილიც საკუთარი სახსრებითა და ფანტაზიით შექმნეს. რეჟისორის, სამხატვრო და მუსიკალური ხელმძღვანელის როლიც თავად შეითავსა და 31 ოქტომბერს დაუფინანსარ სპექტაკლი აჩუქა მასწავლებელს. აპლოდისმენტებით დაჯილდოებულ პატარა მსახიობებს სცენიდან გასვლა აღარ სურდათ, თავიანთი ნამუშევრით თავადაც კმაყოფილი დარჩნენ და მასწავლებელიც მოხიბლეს.

ში“, მაშინ განათლების მინისტრი **ალექსანდრე ლომია** იყო, ფოკის დედათა მონასტრის საკვირაო სკოლაში ვაჩვენეთ მას ჩვენი სპექტაკლი, მახსოვს რამდენიმე მადლობა გვითხრა და როგორ მოეწონა თითოეული როლის შემსრულებელი. მას შემდეგ ყოველთვის ვთამაშობთ სხვადასხვა სპექტაკლებში, მაგრამ ასეთ დიდ სცენაზე პირველად გამოვედით და ამიტომაც განსაკუთრებით ველალო.

ვაროზ ტარტერიანი (ჰამბო) – კლარა მასწავლებელმა შემირჩია ეს როლი, მიიხრა, შენზე უკეთ ვერავინ ითამაშებს ჰამბოსო, ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობით მოვეციდე ტექსტის სწავლას, ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ვეღარ არჩევნ ჩემს საუბარს ქართველის საუბრისგან.

ალუსიაკ სააკიანი (კინტო) – ცეკვა კლარა მასწავლებლის დახმარებით ვისწავლე. როგორც ნახეთ, კარგადაც გამოვიდა, ჩემი ნომერი სპექტაკლს ალამაზებს და ამხიარულებს, ვგრძობ ჩემს მეგობრებსაც ფეხები როგორ უთამაშებთ როდესაც ცეკვავ. მიუხედავად იმისა, რომ მე კარგი როლი მაქვს, გიქორი განსაკუთრებული პერსონაჟია და მეტიც ბოლომდე იხარჯება თამაშის დროს.

მელიქ ქოსიანი (გიქორი) – ჩემი როლი ძალიან მიყვარს, ცოტა ტრაგიკული პერსონაჟია გიქორი, მაგრამ რთული სათამაშო არ არის, ჩემს მეგობრებს ჩემი როლიც ძალიან მოსწონს. კლარა მასწავლებელი ყოველი რეპეტიციის შემდეგ შენიშვნებს მაძლევდა, მისწორებდა გამოთქმებს, ცდილობდა, რომ ჩემი როლი გამეთავისებინა, თან ყოველთვის მაბნელებდა, სტიმულს მაძლევდა და შედეგიც ალბათ ამან განაპირობა.

ყველა ჩემი მეგობრის როლი კლარა მასწავლებლის დიდი შრომის შედეგია, ჩვენ ყველა, ჩვენს

წარმატებულ თამაშს კლარა მასწავლებელს ვუმაღლით და ის აპლოდისმენტებიც, რომელიც ორიოდ ნუთის წინ დასრულდა, კლარა მასწავლებელს მივუძღვინეთ.

კლარა ფოცხვერაშვილი, ქართული ენის პედაგოგი: საკმაოდ დიდი ხანია ვმუშაობ ამ ბავშვებთან, პირველი კლასიდან ვასწავლი მათ ქართულ ენას. როდესაც ჰოვანეს თუმანიანის „გიქორი“ ქართულ ენაზე წავიკითხე, ძალიან მომეწონა, სახასიათო პერსონაჟებითაა საყვარელი და იმ დღიდან სურვილი მქონდა სპექტაკლად გვექცია წარმოები. გარდა ამისა, ამ წელს ჰოვანეს თუმანიანის საიუბილეო წელია (დაბადებიდან 140 წლისთავი), ჰოვანეს თუმანიანის სომხეთში დაბადდა, ლორში, სოფელ დსეღში. მისი სახლი სომეხ მწერალთა ლიტერატურულ სალონად იყო ცნობილი. ჰოვანეს თუმანიანი ჯავახეთის რომ ეწვია, მას შემდეგ დაწერა ლეგენდა „ფარავანა“, „თმოგვის ციხის აღება“ და ა.შ. „გიქორშიც“ საოცარი სახეებითა დახატული, ბავშვებს ძალიან დიდხანს ვაკვირდებოდი, ვის რომელი როლი მიუდგებოდა, ხასიათის შტრიხებს დიდხანს ვეძებდი მათში და მხოლოდ შემდეგ გავანანილე როლები და რეპეტიციებიც დავიწყეთ. დიდი ხნის სურვილმა, დაკვირვებამ და მონდომებამ შედეგად დღევანდელი სპექტაკლი მოგვცა. ყოველ რეპეტიციაზე მათთან ერთად ვთამაშობდი ყველა როლს; თითოეული სიტყვის, წინადადების, ინტონაციის გამოთქმა-წარმოთქმაზე დიდი შრომა მაქვს ჩადებული, ახლაც მათთან ერთად ვიყავი და განვიცდიდი, მაგრამ მერჩივნა პარტერში ჯდომა, სპექტაკლის ყურება და შეფასება, რაც ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ჩემი სიახლოვე და გამხნელება მათთვის დიდი სტიმული იყო.

დაახლოებით შვიდი-რვა თვე,

ყოველკვირა ვავდიოდი რეპეტიციებს, მაგრამ არ გვექონდა დეკორაციები, ტანსაცმელი. სხვა გზა რომ არ გვექონდა, მშობლებს ვთხოვე და ყველა გვერდში დამიდგა. რამდენიმე პერსონაჟის სამოსი ჩვენი შეკერილია, ბოლოს რისი შეკერვაც ვერ შევძელით, ქალაქ ახალციხის ადგილობრივი თეატრიდან ვითხოვეთ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას ვუხდით. ასევე უნდა აღვნიშნო სკოლის დირექტორის, **საპაკ მადლიანის** თანადგომა, ჩვენი სპექტაკლების პირველი შემფასებელი ყოველთვის ის გახლავთ.

როგორც აღვნიშნე, მუშაობა, ძირითადად, ენობრივი თვალსაზრისით მიწვევდა, სხვა მხრივ, რთული არ იყო. ეს პირველი სპექტაკლი არ არის, პირველად ჭაბუა ამირეჯიბის „ჭორიკანა კაჭკაჭი“ დავდე, შემდეგ მას მოჰყვა „კომბლე“, „წითელი ქუდა“, „სამი გოჭი“, ეს სპექტაკლები დედათა მონასტრის საკვირაო სკოლაში ვაჩვენეთ არაერთ საპატიო სტუმარს.

სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ენის დაუფლება უფრო შედეგია აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ გაკვეთილზე. ყველა მონაწილემ ზეპირად იცის მთელი პიესა, რითაც მათ ლექსკუთრი მარაგი გაიმდიდრეს, ერთმანეთთან პერსონაჟების ენით ლაპარაკობენ, იყენებენ მათ ტერმინებს საუბარში, იუმორში... ბავშვები ერთმანეთს სახელეებით აღარ მიმართავენ, ისინი მეგობრებისთვის ჰამბო, გიქორი, ნახტო და ა.შ. ვახდენენ. ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბება უსაზღვროდ დიდ მიღწევად მიმაჩნია.

მიიდა დავამატო ისიც, რომ სპექტაკლზე მუშაობის დასაწყისში რამდენიმე მეცადინეობა მივუძღვევინეთ ეთნოგრაფიულ საკითხებს, ბავშვებმა ქართულ და სომხურ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ტრადიციებზე თავად მოიძიეს ინფორმაცია ენციკლოპედიებიდან,

გთავაზობთ რამდენიმე პატარა მსახიობის მოსაზრებას სპექტაკლის თაობაზე.

ასტილი ალვანჯიანი (I ქალბატონი) – სპექტაკლის თითოეულ დეტალზე დიდი შრომა დაიხარჯა. მოსამზადებელ პერიოდში, რეპეტიციების დროს კლარა მასწავლებელი განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. ბედნიერი ვარ შედეგით, რაზედაც მასწავლებელთა აპლოდისმენტები მეტყველებს. მადლობა ყველას და განსაკუთრებით კლარა მასწავლებელს, რომელმაც ამ სპექტაკლით აგვალაპარაკა და საშუალება მოგვცა, წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნის რეალიზება მოგვეხდინა.

ნაზელი ბეზუიანი (II ქალბატონი) – ჩემი როლი არც ისე დიდია, II ქალბატონი რალაცით მგავს კიდევ, თითქოს მე ჩემს თავს წარმოვიადგინ სცენაზე; მხიარული, უდარდელი, მეც ასეთი ვარ ცხოვრებაში, ამიტომაც რომ სპექტაკლის ტრაგიკულ ნოტას ვერც ვგრძობ.

ოსან ზოროდლიანი (ნატო) – როლის თამაში არ გამჭირვებია, კლარა მასწავლებელი პირველი კლასიდან მასწავლის, მეხუთე კლასში ვიყავი, პირველად მელაკუდას როლი რომ ვითამაშე „კომბლე-

სპექტაკლს ესწრებოდნენ: ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგეობის აპარატის წევრები, ასევე საკრებულოს წარმომადგენლები, ნინოწმინდის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის ხელმძღვანელი, კულტურის სფეროს მუშაკები, საჯარო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისთვის, კულტურის მოღვაწეებმა სხვადასხვა კუთხით შეაფასეს მათ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი; პატარა მსახიობებმა თანატოლებისგან ხანგრძლივი ტაში დაიმსახურეს, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის ნინოწმინდის განყოფილების წარმომადგენელმა მათ საჩუქრად მოუშადათ ექსკურსია ბათუმში, სადაც „გიქორს“ აჩვენებენ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში.

შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

გორის უნივერსიტეტში ახალი პროგრამები ამუშავდა

გორის უნივერსიტეტში დაიწყო პროფესიული სწავლებისა და გადამზადების პროგრამები სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში. რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსის გახსნის ღონისძიებასა და სასწავლო პროგრამების ოფიციალურ პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ნიკა გვარამია**, მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი **პერ ეკლუნდი**, გაეროს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი **ინიტა პაულოვიჩა**, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში **ლადო ვარძელაშვილი**, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროკო-

მისიის წარმომადგენლობის, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები. გორის უნივერსიტეტი სახელობო პროგრამები პროექტის „შიდა ქართლის რეგიონში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა“ ფარგლებში, ევროკომისიის, გაეროს განვითარების პროგრამისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 2008 წელს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა. თითხმეტამდე სასწავლო კურსი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობითა და ევროკავშირის დაფინანსებით შემუშავდა. მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო შენობის რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა. პროექტი ხელს შეუწყობს შიდა ქართლის რეგიონში სტანდარტებზე დაფუძნებული

კვალიფიკაციისა და ტრენინგის სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მოამზადებს შესაბამის კადრებს. **ნიკა გვარამია:** „ძალიან კმაყოფილები ვართ, გაიხსნა პროფესიული სწავლების ახალი ცენტრი ძალიან კარგი ინფრასტრუქტურითა და სახელმძღვანელოებით, კარგად გადამზადებული პედაგოგებით. დარწმუნებული ვარ, შედეგიც აუცილებლად იქნება. ჩვენ კი ჩვენს ვალდებულებას დაფინანსების ნაწილში აუცილებლად შევასრულებთ.“ **პერ ეკლუნდი:** „ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას შარშანდელი ომის შედეგად შექმნილი კრიზისის დასაძლევად. პროფესიული განათლება მეტ შესაძლებლობებს შეუქმნის მათ, ვინც საარსებო წყარო დაკარგა ან უკეთეს სამსახურს ეძებს.“

2009-2010 წლებში გორის უნივერსიტეტში ახალი პროგრამებით 160 სტუდენტი გაივლის პროფესიულ სასწავლო კურსს სამშენებლო, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის პროფესიებში. ამავე პროფესიებში 390 მსურველი გაივლის ტრენინგს, 150 საშუალო განათლების მქონე სტუდენტი გაივლის სამშენებლო პროფესიულ სასწავლო კურსს. **ინიტა პაულოვიჩა:** „ყველა სასწავლო პროგრამა ადგილობრივი შრომის ბაზრისა და ბიზნესის კომპანიების, როგორც პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებს არის მორგებული.“ ღონისძიების ფარგლებში სერთიფიკატი გააძევათ 32 პედაგოგსა და ინსტრუქტორს, რომელთაც საგანგებოდ ორგანიზებული ტრენინგი გაიარეს.

მასწავლებელი – ჩეფორომატორი

2009 წლის 14 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის ივ. ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლაში „უცნაური“ თეატრალური წარმოდგენა ვიხილეთ. ამ სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა **ნინო ლულაძემ**, IX-X კლასების მოსწავლეთა ძალეებით, დადგა სპექტაკლი – „სუპერსტარ“. უცნაური ვუნოდე იმიტომ, რომ სოფელ ხცისში არასდროს, არავის არ უნახავს თეატრალური წარმოდგენა გერმანულ ენაზე. სკოლის სააქტო დარბაზი, რომელიც ქალბატონ ნინოს ძალისხმევით და თაოსნობით აღიჭურვა და დამშენდა, გადავხედავთ იყო მაყურებლით. აქ იყვნენ სკოლის პედაგოგები, უფროსკლასელები, მოსწავლეთა მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები და სტუმრები წრომის საჯარო სკოლიდან. საყურადღებოა, რომ მთელი ღონისძიება, რომელიც საქველმოქმედო ხასიათის იყო, მაღალ ორგანიზებულად ჩატარდა. წარმოდგენაზე დასასწრებ ბილეთებთან ერთად მომზადებული იყო წარმოდგენის პროგრამა და სპექტაკლის შინაარსი ქართულად. სწორედ ამ უკანასკნელმა გასაგები გახდა მსმენელთათვის სპექტაკლის შინაარსი. ეს იმდენად კარგად იყო გაკეთებული, რომ სპექტაკლის ყოველი მოქმედება სრულიად გასაგები იყო ყველა მაყურებლისთვის. მაყურებლები განსაკუთრებით მოიხიბნენ სპექტაკლის მონაწილე მოსწავლეთა გერმანულ ენაში მაღალი მომზადებით. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოეწყო ამ ღონისძიების გარჩევა. შეფასებები გააკეთეს: სკოლის დირექტორმა **ლელა ქერივიშვილმა**, დირექტორის მოადგილემ **ციცილო ბურნაძემ**, სოფლის საკრებულოს წარმომადგენელმა **მაია მულაძემ**, წრომის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა **ნელი ლომიძემ**, ხცისის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა **ლელა ხრიკულმა**, პედაგოგმა და **ლუარა თუმანიშვილმა**.



ყველა გამომსვლელმა ერთხმად აღნიშნა, რომ გერმანული ენის სწავლება ამ დონეზე ადრე არასდროს ყოფილა დაყენებული. მათ მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ნინოს მაღალპროფესიული შრომისათვის და სკოლის დირექტორს ქალბატონ ლელას აქტიური მხარდაჭერისათვის. ნინო ლულაძე სკოლაში იმ პედაგოგებს უდგას სათავეში, რომლებიც განათლების რეფორმის რეალიზაციისათვის იღვწიან. განი-

საზღვრა თუ არა ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, გამოქვეყნდა თუ არა განათლების ეროვნული პროგრამა, ნინო მასწავლებელი აქტიურად ჩაება ამ მასალების შესწავლაში და პრობლემაში. სისტემატურად ესწრებოდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ თათბირ-სემინარებს, ტრენინგებს, შეხვედრებს. 2007 წელს ორი კვირით იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გერმანული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, სკოლაში დაბრუნების შემდეგ კი დიდი მონდობით უზიარებდა შთაბეჭდილებებს კოლეგებს. პარალელურად, აქტიურად წერდა თავის მუშაობაში რეფორმატორულ მიდგომებს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე მუშაობაში. მისი მუშაობის მაღალი შედეგების მიღწევაში დიდი როლი ეკუთვნის კლასგარეშე მუშაობის მრავალფ-

როვნებას. იგი ხშირად მიმართავს სათამაშო სიტუაციებს გრამატიკულ მასალაზე მუშაობისას, როგორც თამაშებს, მართავს ყოფით სიტუაციურ დიალოგებს, ეხერხება თემატური პროექტების გაკეთებას და პრეზენტაციას, ქართული და გერმანული ყოფითი კულტურების შედარებას და ანალიზს. ყოველთვის ცდილობს, კლასში და სკოლაში, შექმნას გერმანული გარემო, სისტემატურად საუბრობს მოსწავლეთა მათ გერმანულ ენაზე, რითაც მოსწავლეთა ათავისუფლებს კომპლექსებისგან და უნერგავს გაბედულებას. ატარებს სასკოლო თემატურ კონფერენციებს. მათგან აღსანიშნავია კონფერენცია თემაზე „ბერლინის კედელი და მისი ქართული პარალელები“. ჰყავს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში გამარჯვებული მოსწავლენი.

ქალბატონი ნინო დიდი სიყვარულით სარგებლობს სკოლაში და საზოგადოებაში. შემთხვევითი არ არის, რომ იგი მეორედ აირჩიეს სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

რეზა ძაფინიძე
ივ. ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

თვალსაზრისი

ნანობანათლება

თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო ახალი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია – ნანომეცნიერებებისა და ნანოტექნოლოგიების ერა, რომელიც უახლოეს მომავალში არსებითად შეცვლის სამყაროს სახეს. სულ უფრო ხშირად გვხვდება ტერმინები – ნანოფიზიკა, ნანოქიმია, ნანოელექტრონიკა, ნანომედიცინა, ნანომასალები, ნანოტექნოლოგიები..., გვხვდება არა მხოლოდ სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალებში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. გაჩნდა ახალი „ნანო“ ჟურნალები, მაგალითად, **Journal of Nanoscience and Nanotechnology, Nanotechnology, Journal of Computational and Theoretical Nanoscience, NanoLetters, Nanomedicine: Nanotechnology, Biology and Medicine** და სხვ. ნანო თემატური მიმართულებებით ტარდება სხვადასხვა დონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში გაჩნდა ახალი ნანოფაკულტეტები, ნანოდეპარტამენტები და ნანოსპეციალობები. მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში მიღებულია და გრძელდება მიღება ნანოთემატური მიმართულებებით სამეცნიერო კვლევების ნაციონალურ პროგრამები.

ამჟამად არ არსებობს სფერო, სადაც ნანოტექნოლოგიები არ ახდენს თავის გავლენას. მაგალითად, ენერჯის ახალი წყაროები, სხვადასხვა დანიშნულების ახალი ნანოდი-სპერსიული მასალები, ახალი ნამღებები, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები, გარემოს დაცვის ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები და სხვ. ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების თანამედროვე მდგომარეობა, წარმატებები და განვითარების პერსპექტივები პირდაპირა და მოკიდებული სპეციალისტების (რომლებიც უნდა განავითარონ ეს ახალი მიმართულება) მომზადების პრობლემასთან – ნანოგანათლებასთან. რამდენადაც ნანოტექნოლოგიის განვითარების თანამედროვე დონე გავლენას ახდენს, ხოლო უახლოეს მომავალში, როგორც მოსალოდნელია, იქცევა ნე-

ბისმიერი ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების და მსოფლიო ეკონომიკაში მისი მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორად, მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა უკვე ამჟამად აქცევს მნიშვნელოვან ყურადღებას ნანოგანათლებას. ამასთან მაქსიმალური წარმატება შეიძლება მიღწეული იქნეს ამ პრობლემის გადაწყვეტის კომპლექსური მიდგომით – ნანოგანათლების ორგანიზაციით სწავლების ყველა დონეზე, სკოლაში და განათლების დაწყებული და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრებით დამთავრებული. ნანოტექნოლოგიების განვითარების მიხედვით ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი აშშ, ტექნიკურ და კლასიკურ უნივერსიტეტებში ქმნის და ეფექტურად ახორციელებს სხვადასხვა ნანოსაგანმანათლებლო პროგრამებსა და კურსებს სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისათვის, მეცნიერ-თანამშრომლებისა და მასწავლებლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ნანოგანათლება როგორც აშშ-ში, ისე სხვა განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს არა დამოუკიდებელ განკერძოებულ ამოცანას, არამედ შედის ნანომეცნიერებების და ნანოტექნოლოგიების განვითარების ნაციონალური პროგრამის პრიორიტეტულ ამოცანებში. აშშ-ში ასეთი პროგრამა მიღებულ იქნა 2000 წელს და ეწოდება „ნაციონალური ნანოტექნოლოგიური ინიციატივა“. ანალოგიური პროგრამები მიღებულია და ფინანსდება იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში. 40-ზე მეტ ქვეყანაში ასეთ პროგრამებზე ყოველწლიურად იხარჯება 2 მლრდ დოლარი სახელმწიფო დაფინანსებით, ხოლო კერძო ფირმებისა და კომპანიების მიერ – გაცილებით მეტი.

დიდი აქტიულობისა და ეკონომიკური პერსპექტიულობის გამო ამჟამად წარმოიშვა და შემდგომში განვითარდება ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების სფეროს ახალი და სწრაფად განახლებადი დისციპლინათშორის ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული განათლების ახალი პარადიგმა. ამასთან, სწრაფი განახლებადობის გამო სწავლება უნ-

და იყოს უწყვეტი. უწყვეტი სწავლების ფართო შესაძლებლობას გვაძლევს ინტერნეტის გლობალურ ქსელებზე დაფუძნებული განათლების ახალი ტექნოლოგიები – ელექტრონული განათლება (E-learning), რომელიც ამჟამად ფართოდ ინერგება.

ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების და არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე გამოვხატავ ჩემი მოსაზრებებს ნანოგანათლების განვითარებაზე, კერძოდ:

1. ნანოსისტემების მიმართულებით ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების და გადამზადების მიზნით, საჭიროა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალი მიმართულებების და სპეციალობების შემოღება. მაგალითად, ნანოტექნოლოგიის მიმართულება, და ამ მიმართულებაში ახალი ნანოსპეციალობების – ნანოელექტრონიკა, ნანომასალები და სხვ. შექმნა, რომლებიც შემდგომში, ბუნებრივია, უნდა გაფართოვდეს.
2. საჭიროა ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების მიმართულებებით ახალი სასწავლო კურსების, პროგრამების, სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება, და მუშავება და მეთოდური უზრუნველყოფა.
3. საჭიროა შეიქმნას ნანოგანათლების ამოცანების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ახალი სტრუქტურული ერთეულები – ინსტიტუტები, ცენტრები, ფაკულტეტები და დეპარტამენტები.
4. დაინტერესებული სტუდენტებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების უფრო ინდივიდუალური ფორმა – უნდა მიეცეთ უფლება და უზრუნველყოფილ იქნენ ნანოთემატიკაზე ორიენტირებულ კურსებზე დასწრებით, რომლებიც იკითხება სხვადასხვა ფაკულტეტებსა თუ სპეციალობებზე (მაგალითად, ქიმიის სპეციალობის სტუდენტებს ნაეკითხობთ „ქვანტური მექანიკა“, რომელიც იკითხება ფიზიკის სპეციალობაზე, ხოლო, ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებს „ნანომასალები და მათი მიღების მეთოდები“, რომელიც იკითხება ქიმიის სპეციალობაზე, და სხვ.).
5. განვითარდეს სასწავლო და სამეცნიე-

რო კონტაქტები საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომლებიც აქტიურად არიან დაკავებული ნანოკვლევითი და ნანოგანათლებითი საქმიანობებით.

6. აქტიურად უნდა ჩაერთონ ნანოგანათლების სფეროში პუმანიტარული პროფილის ფაკულტეტები – იურიდიული, ეკონომიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიის და სხვ. რადგან ახალი ნანოტექნოლოგიების გამოჩენა შეიტანს არსებით ცვლილებებს საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალური და ეკონომიური ხასიათის წარმატებებთან ერთად დასაშვებია აგრეთვე უარყოფითი შედეგები, მათი არაკანონიერი გამოყენება საზოგადოების საზიანოდ, კერძოდ, ტერორიზმი, ადამიანის კლონირება ან მისი ფსიქიკის მიზანმიმართული ცვლილება, შეუმომხებელი ან გენმოდულირებული კვების პროდუქტების წარმოება და რელიჯიაცია, ინფორმაციის არაკანონიერი მიღება და მრავალი სხვ.

მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ნანოტექნოლოგიებმა და ნანოგანათლებამ უკვე გაიარა ჩასახვის ეტაპი და იმყოფება ზრდისა და სრულყოფის ეტაპზე. ხშირად, სამწუხაროდ, შეიძლება შეხვედეთ მრავალ „ექსპერტს“, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ ყოველთვის ჩამოვრჩებით მოწინავე ქვეყნებს მეცნიერების, ტექნოლოგიების და სხვა მრავალი თვალსაზრისით. ნანოტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებისა და აგრეთვე ინოვაციური განვითარების ტენდენციების, პერსპექტივების და ადამიანური და მატერიალური რესურსების სწორი ანალიზით შესაძლებელია მსოფლიოს ყველაზე მეტად განვითარებული ქვეყნების დონის მიღწევა. ამის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნანომეცნიერების, ნანოტექნოლოგიების და ნანოგანათლების ჩამოყალიბების, ზრდის და განვითარებისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

ზაურ ბარბიშიძე
ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენ ვხატავთ მოავლის ქალაქს



2008 წლის აპრილში ირანის ცენტრალურ პროვინციაში მდებარე სამრეწველო ქალაქ ქავეს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა საბავშვო ნახატის კონკურსი თემაზე – „დავხატოთ მომავლის ქალაქი“. კონკურსში ქართველი ბავშვებიც მონაწილეობდნენ და ავტორიტეტული ფიურის მიერ გამორჩეულ მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ: **ქეთი ჯაოშვილი**, სამხატვრო სტუდია „ფავორიტის“ აღსაზრდელი (პედაგოგი – **ლელა გელეიშვილი**) – მე-8 ადგილი მთავარ კონკურსში; **თიკო ბარათაშვილი**, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელი (დირექტორი – **ლია გორგოძე**, პედაგოგი – **მზექალა ბერძენიშვილი**) – პირველი ადგილი ასაკობრივ ჯგუფში. კონკურსის ფიურში, 1400-ზე მეტი ნახატიდან, 117 ნამუშევარი შეარჩია ალბომში დასაბეჭდად. 2 ქართველი ლაურეატის გარდა, ალბომში კიდევ 4 ნორჩი მხატვარი – **გიორგი ზეიკიძის**, **სანდრო ჩიტაძის**, **ანასტასია ალაიძის** და **ნინო ენუქიძის** – ნამუშევრებიც შევა. ექვსეუ ქართველი ბავშვის ნახატები წარმოდგენილი იყო ქავეს კულტურისა და დასვენების პარკის საგამოფენო დარბაზში. გამოფენას ესწრებოდა ირანში საქართველოს საელჩოს მრჩეველი **ნიკოლოზ ნახუცრიშვილი**. მან კონკურსის დასკვნით ცერემონიაზე, მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ჩაიბარა ქართველი გამარჯვებული ბავშვების ჯილდოები და საქართველოში ჩამოიტანა. გამარჯვებულთა დაჯილდოება ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიმართა. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ ირანის საელჩოს მრჩეველები, ბატონები: **ემსან ხაზაი** და **მაქთაბი ფარბი**, ასევე, თბილისში არსებული ირანული

სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეები, ქართველი ირანისტები. აღსანიშნავია, რომ კონკურსში ქართველი ბავშვების მონაწილეობას ორგანიზებას უწევდა ხელოვნებათმცოდნე **ნათელა ნიკონოვა**, ნიკო ნახუცრიშვილის მეუღლე, რომელიც ამ ზაფხულს დაიღუპა თეირანი-ერევნის რეისის თვითმფრინავის კატასტროფისას. მის ხსოვნას მიეძღვნა ფოტოგამოფენა სახელწოდებით „დაბრუნება ირანიდან“, რომელიც „ბაია-გალერეაში“ გაიხსნა 24 აგვისტოს. 16-21 ოქტომბერს კი თეირანის პოპულარულ გალერეა „შირინში“ ჩატარდა ანალოგიური გამოფენა, რომელზეც ირანელმა ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა და თეირანის დიპლომატიურმა კორპუსმა პატივი მიაგო ნათელა ნიკონოვას ხსოვნას. **ლია გორგოძე**, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორი: გვიხარია, რომ ირანში გამართულ გამოფენაზე ჩვენმა ბავშვებმა წარმატება მოიპოვეს. ჩვენს მუზეუმს ირანთან ურთიერთობის პატარა ისტორია აქვს. ირანთან იყო დაკავშირებული ჩვენი გამოფენა „სპარსული ზღაპრები“, რომელიც ჩვენმა ბავშვებმა დაასურათეს და ძალიან საინტერესო გამოფენა მოვაწყვეთ. გვექონდა, ასევე, ირანში მცხოვრები ქართველების გამოფენა. გვინდა, მომავალშიც გავაღრმავოთ ჩვენი ურთიერთობა და, თუ შესაძლებელი იქნება, ირანელი ბავშვების ნახატები ვიხილოთ ჩვენი გალერეის კედლებში. ჩვენს ფონდებში 50-ზე მეტი ქვეყნის ბავშვთა ნამუშევრებია დაცული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ნიკოლოზ ნახუცრიშვილს გულისხმობებისთვის – იგი

დაესწრო გამოფენის დახურვას, გადაიღო ფოტოები, რომ ჩვენ წარმოდგენა გვექონოდა, როგორი ზეიმი გაიმართა და გამარჯვებულ ბავშვებს ჯილდოები ჩამოუტანა. დღეს ბატონი ნიკო ჩვენი სტუმარია და გამარჯვებულებს ჯილდოებს პირადად გადასცემს. **ნიკოლოზ ნახუცრიშვილი**, ირანში საქართველოს საელჩოს მრჩეველი: ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო ამ პრიზების ჩაბარება ქართველი ბავშვებისთვის. მართალია, პირველად არ მიხდება ქართველი მეცნიერებისა თუ მხატვრების ჯილდოების ჩამოტანა საქართველოში, მაგრამ ეს შემთხვევა გამორჩეული იყო იმის გამო, რომ ჩემი ცხოვრების მძიმე წუთების შემდეგ პირველად მომიწია ოფიციალურ ღონისძიებაზე წასვლა და თითქმის შუაღამოს აშენებული და რთოდენიმე ასეულ ქარხანასა და სამრეწველო ობიექტს მოიცავს. რადგან ქალაქი ახლა შენდება, გამოაცხადეს კონკურსი „დავხატოთ მომავლის ქალაქი“, რომელიც, გარკვეულწილად, ქალაქის მომავალ განვითარებას ისახავდა მიზნად. განსაზღვრული იყო ისიც, რომ მატერიალური პრიზების გარდა გამარჯვებულების სახელები დაერქმეოდა ქუჩებსა და მოედნებს. მოხარული ვიყავი, რადგან ორჯერ მომიწია სცენაზე ასვლა და გამოფენის ორგანიზატორების ხელიდან ორი ქართველი ბავშვის პრიზი ჩავიბარე. **ემსან ხაზაი**, საქართველოში ირანის საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში: როდესაც შევიტყვე, რომ ეს ღონისძიება ტარდებოდა, თავი მოვალედ ჩავთვალე, აუცილებლად დავესწრებოდი. ჩვენ მო-

ვიყვანეთ ირანული სკოლის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები. მინდა განაცხადო, რომ ხელოვნება ბავშვების შესრულებით ძალიან ლამაზია, რადგან ისინი ძალიან გულწრფელნი არიან. მათ ნახატებში სინამდვილე და სიფაქიზე ჩანს. მსგავს ღონისძიებებში ჩვენი ქვეყნის ბავშვების მონაწილეობა ორი ქვეყნის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის ნიშნულია. ძალიან გამიხარდა ამ კონკურსში ქართველი ბავშვები რომ მონაწილეობდნენ. ესეც კულტურული თანამშრომლობის ერთ-ერთი კარგი ნიშნულია. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება. მადლობას ვუხდის საქართველოს საელჩოს ირანში, რომელიც მხარში ამოგვიდგა. გამარჯვებულებს წარმატებას ვუსურვებ მომავალ მოღვაწეობაში. მოგახსენებთ, რომ ირანელი ბავშვებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის გალერეის მიერ გაიმართებულ კონკურსში. **ლელა გელეიშვილი**, სტუდია „ფავორიტის“ ხელმძღვანელი: ამ კონკურსის შესახებ შემატყობინა ბატონი ნიკოს მეუღლემ, ქალბატონმა ნათელა ნიკონოვამ, რომელიც გალერეა „ვერნისაჟში“ მუშაობდა და მხატვრების დიდი მეგობარი იყო. ეს იყო 2008 წლის აგვისტო, ძალიან მძიმე დრო. მთხოვა, ორ კვირაში შემეკრიბა ნიჭიერი ბავშვების ნამუშევრები თემაზე – „მომავლის ქალაქი“. შევატყობინე ყველას, ვისთანაც კი ხელი მიმიწვდებოდა, ნამუშევრები შევაგროვეთ და საკონკურსოდ გავაგზავნეთ. მათ შორის იყო ქეთი ჯაოშვილი. მან არაჩვეულებრივი ნამუშევრები წარმომიდგინა. ამ ბავშვების გამარჯვება, ალბათ, ქალბატონ ნათელას ხსოვნას უნდა მივუძღვნათ.

მზექალა ბერძენიშვილი, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში არსებული თავისუფალი ხატვის ჯგუფების პედაგოგი: მოგეხსენებათ, შარშან, აგვისტოს მოვლენების გამო, სასწავლო წელი გვიან დაიწყო. მიუხედავად ამისა, სკოლებს დაუკავშირდით და საგანგებოდ შევეკრიბეთ ბავშვები, გავიყვანეთ პლენერზე, ზოგიერთი სახელოსნოში მოვიყვინეთ და დავახატინეთ სურათები საკონკურსო თემატიკაზე. ძალიან მცირე რაოდენობის ნამუშევრები გავაგზავნეთ, რადგან მეტი ვერ შევაროვდა. მოხარული ვარ, რომ ამ მცირე რაოდენობიდან, სხვადასხვა ქვეყნის 1400 ბავშვს შორის, ჩვენმა 5 აღსაზრდელმა მიაღწია წარმატებას – ერთმა მედალი მიიღო, დანარჩენი ოთხის ნამუშევრები კატალოგში დაიბეჭდა. რიცხობრივად ეს ბარისის ძალიან მაღალი მაჩვენებელია და მოხარული ვარ. **თიკო ბარათაშვილი**: როცა გავიგე, რომ ეს კონკურსი ტარდებოდა, გამიხარდა. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი – თბილისი და გადავწყვიტე, ნახატში გამომეხატა ეს სიყვარული. დავხატე გოგონა, რომელსაც თავზე ადგას ქალაქი. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ყველა ისე უნდა გავუფრთხილდეთ და ისე უნდა გვიყვარდეს ჩვენი თბილისი, როგორც საკუთარი თავი გვიყვარს და ვუფრთხილდებით. სწორედ ამ ნახატმა გაიმარჯვა კონკურსზე, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. **ქეთი ჯაოშვილი**: ირანში საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი ეძღვნებოდა „მომავლის ქალაქს“. შესაბამის თემატიკაზე შევასრულე ნამუშევარი და მერვე ადგილი დავიკავე. ძალიან მისარია, გამარჯვებულთა ათეულში რომ მოვხვდი.

ლალი თვალაპიშვილი



ახალი განათლება
 მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
 www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
 რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრი: 76096
 გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
 მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.